პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 230 (5331) | ხუთშაბათი, 6 ოქტომბერი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთშია:

თამბაქოს მოსავლის აღებაში ჩამორჩენა შეუწყნარებელია (მოწინავე)
თვითმფრინავ „როდინას“ მთელი ეკიპაჟი ნაპოვნია (1-ლი გვ.)
მეგობარი ქალები (1-ლი გვ.)
თვითმფრინავ „როდინას“ რაიონში (1-ლი გვ.)
მ. მიტინი — დიალექტიკური მატერიალიზმი — მარქსისტულ-ლენინური პარტიის მსოფლმხედველობა (მე-3 გვ.)
გაზეთი, რომელიც არ ზრუნავს პარტიული საკითხების გაშუქებაზე (პრესის მიმოხილვა)
გიორგი ლეონიძე — წერილი (მე-2 გვ.)
ზაქარია ფალიაშვილი (მე-3 გვ.)
უცხოეთში:
გადადგა ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი ბენეში (მე-4 გვ.)
ჩემბერლენის პოლიტიკის კრიტიკა (მე-4 გვ.)
ჩეხოსლოვაკიის მთავრობის ახალი შემადგენლობა (მე-4 გვ.)
იწყება პოლონეთ - ჩეხოსლოვაკიის კომისიის სხდომები (მე-4 გვ.)
ჩეხოსლოვაკიის მეირლების მოწოდება (მე-4 გვ.)

თამბაქოს მოსავლის აღებაში ჩამორჩენა შეუწყნარებელია

საქ. მიწსახკომის ნაკრები ცნობები თამბაქოს მოსავლის აღებაში დამაფიქრებელ სურათს იძლევა. 1 ოქტომბრისათვის საქართველოს კოლმეურნეობებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებში შეტეხილია 116.853.785 ზონარმეტრი თამბაქო (გეგმის 79,4 პროცენტი). ამ რიცხვისათვის შეტეხის გეგმა შესრულებული ჰქონდა მხოლოდ აჭარის ასს რესპუბლიკას. გეგმის შესრულება დასასრულს უახლოვდება ზუგდიდის რაიონში.

მეთამბაქოობის მთელ რიგ რაიონებში თამბაქოს მოსავლის აღების მხრივ საგანგაშო მდგომარეობაა. მთავრობის მიერ დაწესებული ვადები თამბაქოს მოსავლის აღებისა (20 სექტემბერი) უკვე ამოიწურა. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ამ ჩამორჩენის ობიექტური მიზეზებით ახსნა. ობიექტური მიზეზებით თავის მართლება შეუძლიათ მხოლოდ გონებაჩლუნგ ბიუროკრატებს, რომელთაც არ ძალუძთ საქმის ნამდვილ ვითარებაში გარკვევა.

თამბაქოს მოსავლის აღებაში ჩამორჩენის მიზეზები იმაში უნდა ვეძიოთ, რომ მთელმა რიგმა პარტიულმა, საბჭოთა ორგანიზაციებმა და სამიწათმოქმედო ორგანოებმა ვერ უზრუნველჰყვეს ნამდვილი ოპერატიული ხელმძღვანელობის გაწევა თვითეული კოლმეურნეობისა და სასოფლო საბჭოსადმი. ადგილი ჰქონდა თამბაქოს აღების ვადების დარღვევას, თვითდინებას, შრომის მოუწესრიგებლობას, მუშაობის სტახანოვური მეთოდების არასაკმაოდ დანერგვას.

თამბაქოს კულტურის აშკარად შეუფასებლობას ვხვდებით ჩოხატაურის რაიონში. 1 ოქტომბრისათვის თამბაქოს შეტეხის გეგმა შესრულებული იყო მხოლოდ 29,9 პროცენტით. ჩოხატაურის რაიმიწგანის გამგე ამხ. გაბუნია თავიდანვე სერიოზული ყურადღებით არ მოეპყრო თამბაქოს კულტურას. აქ დარგვა 20 დღით დააგვიანეს, და რაც გააშენეს, ისიც ზოგან სუსტი ნერგებით. მოსავლის აღებას თავიდანვე ოპერატიულად არ უხელმძღვანელეს და ამიტომაც ახლა აქ თამბაქოს შეტეხის გეგმის შესრულება ჩაშლის საფრთხის წინაშეა. იბადება კითხვა, რას ფიქრობენ საქ. კ. პ. (ბ) ჩოხატაურის რაიკომის მდივანი ამხ. ჩხიკვიშვილი და რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ყაჭიეშვილი?

აშკარად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს თამბაქოს მოსავლის აღება აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში. 1 ოქტომბრისათვის აფხაზეთის კოლმეურნეობებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებს გეგმა შესრულებული ჰქონდათ 78,8 პროცენტით. მიმდინარე წელს აფხაზეთის კოლმეურნეობებმა მოწოდებით მიმართეს საქართველოს მეთამბაქოობის ყველა კოლმეურნეობას თამბაქოს უხვი მოსავლის უზრუნველყოფის, მისი უდანაკარგოდ აღებისა და სახელმწიფო ვალდებულებათა პირნათლად შესრულებისათვის. როგორც სჩანს, აფხაზეთში ჯერ კიდევ სუსტად იბრძვიან ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის. აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მთელ რიგ კოლმეურნეობებში წელს დროზე აულებლობის გამო თამბაქო გადაიწვა, მოუწესრიგებელი იყო შრომა, რამაც აქა-იქ დასცა შრომის ნაყოფიერება, ფარდულებში თამბაქოს არ უვლიდნენ წესიერად. აფხაზეთის ცნობილ მეთამბაქოე სტახანოველის ბოსტანჯიანის მეთოდი თამბაქოს შეტეხა-აცმისა ყველა კოლმეურნეობასა და ბრიგადაში არ არის დანერგილი. ბოსტანჯიანის მუშაობის მეთოდის ფართოდ პოპულარიზაციისათვის სუსტად იბრძვის აფხაზეთის მიწსახკომი და მისი ორგანოები. აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ხელმძღვანელმა მუშაკებმა შექმნილი მდგომარეობიდან ყველა საჭირო დასკვნა უნდა გააკეთონ და უახლოეს დღეებში გამოასწორონ ჩამორჩენა.

ლაგოდეხის რაიონი თუმცა დაგვიანებით, მაგრამ დიდი ვალდებულებებით გამოეხმაურა აფხაზეთის კოლმეურნეებს თამბაქოს დროულად და უდანაკარგოდ აღებაზე სოცშეჯიბრების მოწყობის შესახებ. ჩვენს ხელთ არსებული მასალა მოწმობს, რომ აქაც სუსტად იბრძვიან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის. ეს იქიდანაც სჩანს, რომ 1 ოქტომბრისათვის ლაგოდეხის რაიონში თამბაქოს შეტეხის გეგმა შესრულებული იყო მხოლოდ 74,3 პროცენტით.

დამაფიქრებელია თამბაქოს მოსავლის აღების მიმდინარეობა სიღნაღის, გურჯაანის, ლუქსემბურგისა და ჩხოროწყუს რაიონებშიც.

დადგა გადამწყვეტი დღეები თამბაქოს მოსავლის აღებაში, ძვირფასია თვითეული დღე, თვითეული საათი — აი რა უნდა იქნას მტკიცედ გათვალისწინებული.

თამბაქოს ხარისხის გაუმჯობესებისა და სტანდარტის დაცვისათვის საჭიროა თამბაქოს სამუშაოები უზრუნველვყოთ ოპერატიული ხელმძღვანელობით. ოპერატიული ხელმძღვანელობა ამჟამად ისევე საჭიროა, როგორც ჰაერი, როგორც წყალი. თამბაქოს მოსავლის აღების შემდგომი გაჭიანურება (მით უმეტეს ზედა ხარისხობრივი შეტეხისა, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს) საფრთხის წინაშე აყენებს პირველხარისხოვანი თამბაქოს გამოსავლიანობის მიღებას — სცემს მოსალოდნელ საერთო ნედლეულის პროდუქციას, ამიტომ ყველა ზომა უნდა მივიღოთ იმისათვის, რათა აღება რაც შეიძლება დაჩქარებით დავამთავროთ. ამოცანა ის არის, რომ თამბაქოს შეტეხის გეგმა შეასრულოს არა მარტო თვითეულმა რაიონმა, არამედ ამავე რაიონის ყველა კოლმეურნეობამ, ყველა ბრიგადამ. ძალთა სწორი განაწილებით, შეგნებული დისციპლინის განმტკიცებით საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ უზრუნველყოფილ იქნას შრომისუნარიანი ყველა კოლმეურნის გასვლა სამუშაოებზე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფარდულებში თამბაქოს წესიერად გაშრობას. იმაზე, თუ როგორ იქნება მოწესრიგებული ეს საქმე, დიდად არის დამოკიდებული თამბაქოს ხარისხის გაუმჯობესება.

საკოლმეურნეო მინდვრებზე გამოიჭედნენ შესანიშნავი ადამიანები — სტახანოველები, რომელნიც შრომის ნოვატორები არიან. აი ამ ადამიანებზე დაყრდნობით, მათი მუშაობის მეთოდების ფართოდ დანერგვით უნდა უზრუნველვყოთ თამბაქოს გეგმების სასახელოდ შესრულება.

გადაჭრით უნდა გარდაჰქმნან მუშაობა თამბაქოს დამამზადებელმა ორგანიზაციებმა ადგილებზე. თამბაქოს დამზადების გეგმა ვადაზე და ხარისხობრივი მაჩვენებლების მტკიცედ დაცვით უნდა შევასრულოთ. თამბაქოს დამზადების სექტემბრის გეგმა კი 25 რიცხვისათვის შესრულებული იყო მხოლოდ 10 პროცენტით. „საქთამბაქნედლეულმა“ და მისმა მმართველმა ამხ. ვაშაკიძემ შექმნილი მდგომარეობიდან საჭირო დასკვნა უნდა გააკეთონ. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ დამამზადებელი ორგანიზაციები კულტურულად, სანიმუშოდ მუშაობდნენ. ამას მაშინ მივაღწევთ, თუ ამ საქმეზე შერჩეული იქნებიან შემოწმებული, კეთილსინდისიერად მომუშავე ადამიანები, რომელთაც გული შესტკივათ სახელმწიფო ინტერესებისათვის.

ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა ორგანიზაციებმა, მიწსახკომმა და მისმა ორგანოებმა და „საქთამბაქნედლეულმა“ უნდა მიაღწიონ იმას, რომ კოლმეურნეთა ფართო მასები ჩააბან ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის XXI წლისთავისა და ლენინურ-სტალინური კომკავშირის XX წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში და წარმართონ იგი მორიგ ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

რსფსრ სვერდლოვსკის ოლქის პერმისა და სვერდლოვსკის ოლქებად დაყოფის შესახებ

1. დამტკიცდეს რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინება სვერდლოვსკის ოლქის დაყოფის შესახებ: პერმის ოლქად—ცენტრით ქ. პერმში და სვერდლოვსკის ოლქად—ცენტრით ქ. სვერდლოვსკში.

2. გამოიყოს სვერდლოვსკის ოლქიდან პერმის ოლქის შემადგენლობაში ქალაქები: პერმი, ლისვა, კიზელი, ჩუსოვოი; რაიონები: ბარდიმის, ბერეზოვკის, ბოლშე-სოსნოვოს, ვერეშჩაგინოს, ვერხნე-ოროდკოვსკის, ვერხნე-მულინსკის, ვოროშილოვის, დობრიანკის, ელოვოს, კარაგაისკის, კიშერტსკის, კრასნოკამსკის, კუედის, კუნგურის, ნირობის, ნიტვის, ორდის, ოსინსკის, ოხანსკის, ოჩერკის, პერმსკო-ილინსკის, პერმსკო-სერგინსკის, სივის, სოლიკამსკის, სუქსუნის, იუნსკოეს, უსის, ფოკის, ჩასტის, ჩერდინის, ჩერმოზის, ჩერნოვსკოეს, ჩერნუშენსკის, შჩუჩიე-ოზეროს და კომი-პერმიაკთა ნაციონალური ოლქი.

3. ოლქის დანარჩენი ქალაქები და რაიონები დატოვებულ იქნას სვერდლოვსკის ოლქის შემადგენლობაში.

4. შეუერთდეს პერმის ტერიტორიას ქ. მოლოტოვი და შეიქმნას მისგან ქ. პერმის მოლოტოვის რაიონი.

5. ჩაირიცხოს სვერდლოვსკის ოლქის შემადგენლობაში ომსკის ოლქის ვერხნე-ტავდინსკის რაიონი და ჩელიაბინსკის ოლქის შემდეგი 5 რაიონი: ბუტკის, კამიშლოვის, პიშმის, ტალიცისა და ტუგულიმისა.

6. ეწოდოს სვერდლოვსკის ოლქის პიშმის რაიონს ვერხნე-პიშმის რაიონი.

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე
ბ. პეტროვსკი

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი.
1938 წლის 3 ოქტომბერი.

ქრონიკა

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. მ. მ. ლიტვინოვი ჟენევიდან მოსკოვს დაბრუნდა. (საკდესი).

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხ. **ვ. ვ. ფილარეტოვი** დაამტკიცა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილედ (საკდესი).

თვითმფრინავ „როდინას“ გმირული ეკიპაჟი (მარჯვნიდან მარცხნივ) ვალენტინა სტეფანეს-ასული გრიზოდუბოვა, პოლინა დენისის-ასული ოსიპენკო და მარინა მიხეილის-ასული რასკოვა.

სურათი ამოღებულია „იზვესტიიდან“

თვითმფრინავ „როდინას“ მთელი ეკიპაჟი ნაპოვნია

საუბარი პირდაპირი მავთულით მოსკოვსა და კომსომოლსკს შორის

4 ოქტომბერს განუწყვეტელი კავშირი იყო გაბმული პირდაპირი მავთულით მოსკოვსა და ამურის კომსომოლსკს შორის.

1 საათსა და 35 წუთზე მოსკოვში მიღებული იყო ცნობა, რომ ნახევარი საათის წინ კომსომოლსკიდან „როდინას“ ძირს დაშვების ადგილისაკენ გაფრინდა ორი თვითმფრინავი. ერთი თვითმფრინავით გაემგზავრა სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მფრინავი ამხ. სახაროვი, ხოლო მეორე თვითმფრინავით—დივიზიის მეთაური ამხ. სოროკინი.

2 საათსა და 52 წუთზე თვითმფრინავები უკვე „როდინას“ თავზე დაფრინავდნენ. 35 წუთის შემდეგ მფრინავმა სახაროვმა რადიოთი შეგვატყობინა, რომ „როდინას“ ეკიპაჟს პარაშუტებით მიაწოდეს შემდეგი ტვირთი: სურსათი და მათ შორის ცხელი ყავა თერმოსებით, აგრეთვე თბილი ტანსაცმელი და რუკა თვითმფრინავის ადგილყოფის აღნიშვნით. ერთდროულად გადაგდებულ იქნა ალამი პირობითი კოდით; ამ კოდით ისარგებლა „როდინას“ ეკიპაჟმა და სიგნალების საშუალებით აცნობა, რომ თვითმფრინავთან იმყოფებიან გრიზოდუბოვა და ოსიპენკო.

ამავე კოდის საშუალებით „როდინას“ პილოტებმა შეატყობინეს მზვერავ თვითმფრინავებს, რომ შტურმანი მ. რასკოვა ძირს დაშვების წინ პარაშუტით გადმოხტა თვითმფრინავიდან. მათ ისრით აღნიშნეს აგრეთვე მიმართულება, სადაც ეგულებათ ამხ. რასკოვა. მფრინავებმა გამოიკვლიეს რაიონი ნაჩვენები სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, მაგრამ ამხ. რასკოვა ვერ აღმოაჩინეს.

4 საათსა და 06 წუთზე ამხ. სახაროვისა და სოროკინის თვითმფრინავები კომსომოლსკში დაბრუნდნენ. მათი ძირს დაშვებისთანავე აქ დაიწყო თვითმფრინავთა ჯგუფის მომზადება მ. რასკოვას მოსაძებნად „როდინას“ ადგილყოფის რაიონში საჰაერო დესანტის გადასასხმელად.

8 საათსა და 10 წუთზე უკვე ექვსი თვითმფრინავი იყო ჰაერში. მანქანების ამ ჯგუფს მეთაურობდა სამოქალაქო საჰაერო ფლოტის შორეულაღმოსავლეთის სამმართველოს უფროსი ამხ. პიკოვი. თვითმფრინავებს მართავდნენ პილოტები: ოვეჩკინი, ბურლაკოვი, დერკუნსკი, რომანოვი და სახაროვი. ერთერთ თვითმფრინავზე იმყოფებოდა საჰაერო დესანტი.

9 საათზე და 05 წუთზე მოსკოვს გადაეცა ცნობა, რომ ყველა თვითმფრინავი უახლოვდება „როდინას“ ადგილსამყოფელს. მალე მანქანები უკვე თავს დასტრიალებდნენ ვერცხლისფერ ფრინველს, რომელსაც საფლობ ჭაობში გაეშალა თავისი ფართო ფრთები. „როდინას“ ეკიპაჟს ჭაობზე გადასასვლელი საშუალებები, იარაღი, ტანსაცმელი და სურსათი მიაწოდეს და მანქანების უმეტესი ნაწილი მ. რასკოვას საძებნად გაემართა. მფრინავებმა გულდასმით დაათვალიერეს მეჩხერი, ჭაობიანი ტყე, რომელიც თვითმფრინავის სამხრეთ-დასავლეთ მიმართულებით მდებარეობს.

მალე მთავრობის კომისიამ კომსომოლსკიდან შემდეგი რადიოგრამა მიიღო:

— 9 საათსა და 30 წუთზე სოფელ დუკის რაიონში ნაპოვნია „როდინას“ ეკიპაჟის მესამე წევრი.

ამ დროს თვითმფრინავ „როდინას“ ძირს დაშვების რაიონს თავს დასტრიალებდა სადესანტო თვითმფრინავი. 10 საათზე თვითმფრინავიდან გადახტა ორი პარაშუტისტი — კაპიტანი პოლეჟაევი და უფროსი ლეიტენანტი ერიომინი. პარაშუტისტები მშვიდობით დაეშვენ თვითმფრინავის მახლობლად. ამხ. გრიზოდუბოვა და ოსიპენკო სიხარულით მიესალმნენ პარაშუტისტებს.

11 საათზე გაიმართა მორიგი საუბარი პირდაპირი მავთულით ამურის კომსომოლსკთან. კომსომოლსკიდან გადმოსცეს:

— სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მფრინავებმა დერკუნსკიმ, კირსანოვმა, ბორტრადისტმა სიტკოვმა და ბორტმექანიკოსმა ფედინმა მეჩხერ, ჭაობიან ტყეში „როდინას“ ძირს დაშვების ადგილიდან დაახლოებით 20 კილომეტრის მანძილზე აღმოაჩინეს „როდინას“ ეკიპაჟის მესამე წევრი ამხ. რასკოვა. ის მინდორში იდგა ახლახან გაჩაღებულ კოცონთან და ცხვირსახოცით უგზავნიდა სალამს მფრინავებს. თვითმფრინავიდან მას გადაუგდეს სურსათი, რაც რასკოვამ მაშინვე აკრიფა.

მთავრობის კომისიის მიერ გაცემულია განკარგულება, რათა მომზადებულ იქნას ორი გამოცდილი პარაშუტისტი და 5 ოქტომბერს დილით გადასხმულ იქნან ისინი თვითმფრინავიდან რასკოვას დასახმარებლად. პარაშუტისტებს მიეცემათ კომპასი, იარაღი და კვების საჭირო პროდუქტები. თუ საჭირო იქნება, თვითმფრინავიდან მათ გადაუგდებენ რეზინის ნავსა და თხილამურებს.

გეგმის თანახმად, ამხ. გრიზოდუბოვა, ოსიპენკო და რასკოვა პარაშუტისტებთან ერთად მდინარე ამგუნთან უნდა გამოვიდნენ. აქედან ისინი რეზინის ნავებით უნდა მისცურდნენ ქვედა კამენკამდე, სადაც ამ დროისთვის მოვლენ კატარღები, რომლებიც კერბში მოიყვანენ მთელ ჯგუფს. კერბიდან „როდინას“ ეკიპაჟი და პარაშუტისტები თვითმფრინავებით გადაიგზავნებიან ჯერ კომსომოლსკში, ხოლო შემდეგ ხაბაროვსკში (საკდესი).

◆ ◆

თვითმფრინავ „როდინას“ რაიონში

პირდაპირი მავთულით ლაპარაკი ქალაქ კომსომოლსკთან

5 ოქტომბერს, 1 საათსა და 5 წუთზე, მოსკოვის დროით, ქალაქ ამურის კომსომოლსკთან დამყარებულ იქნა პირდაპირი სატელეგრაფო კავშირი. მოსკოვში აპარატთან იყო გადაფრენის მთავრობის კომისიის შტაბის წევრი, საბჭოთა კავშირის გმირი პოლკოვნიკი სლეპნევი, კომსომოლსკში აპარატთან მოვიდა საქ. კ. პ. (ბ) საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. პეგოვი.

ამხ. სლეპნევმა გადასცა კომსომოლსკში მთავრობის კომისიის მითითებანი იმის შესახებ, რომ არ ჩაუგდონ ამხ. რასკოვას რადიოსადგური, რაც მხოლოდ გააძნელებს მის სვლას. ამხ. სლეპნევი შეეკითხა კომსომოლსკს, თუ რამდენად მზად არის თვითმფრინავი გასაფრენად იმისათვის, რომ თვალყური ადევნოს თვითმფრინავ „როდინას“ შტურმანის ამხ. რასკოვას სვლას. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს უპირველესი ამოცანაა.

შემდეგ ამხ. სლეპნევმა სთხოვა გადმოეცა ცნობები ქვეითი პარტიების თვითმფრინავ „როდინასაკენ“ სვლის შესახებ და იმ ორი პარაშუტისტის მომზადების შესახებ, რომელთა დაშვებაც განზრახულია რასკოვას მახლობლად, თუ იგი ჯერ კიდევ შორს არის თვითმფრინავ „როდინასაგან“.

ამხ. პეგოვმა აცნობა მას, რომ რასკოვას სვლისათვის თვალყურის სადევნებლად დანიშნული თვითმფრინავები გაფრინდებიან დილის 9 საათზე ადგილობრივი დროით. კერბში თვითმფრინავთა დასაშვები ფართობის მდგომარეობის გამოსარკვევად მიემართება მფრინავი ამხ. ოვეჩკინი. მასვე აქვს დავალებული შემოწმოს, როგორ მიდიან მდინარე ამგუნზე იმ პუნქტთან მიმავალი კატარღები, რომელთანაც „როდინას“ ეკიპაჟი და პარაშუტისტები უნდა გამოვიდნენ.

2 საათსა და 55 წუთზე, მოსკოვის დროით, მფრინავი ამხ. სახაროვი გაფრინდა ამხ. რასკოვასაკენ „პს-7“ თვითმფრინავით. მას რასკოვასათვის უნდა მიეწოდებინა პროდუქტები. ამავე დროს კომსომოლსკიდან იმავე დავალებით გაფრინდა „მპ-1“ ჰიდროთვითმფრინავი, რომელსაც მართავდა პილოტი ამხ. რომანოვი.

როდესაც თვითმფრინავებმა ამხ. გრიზოდუბოვას და ოსიპენკოს ადგილსამყოფელ რაიონს მიაღწიეს მფრინავმა სახაროვმა რადიოთი გვაცნობა, რომ ხედავს თვითმფრინავ „როდინასაკენ“ მიმავალ ადამიანებს.

მალე ამხ. სახაროვის თვითმფრინავის ბორტიდან მიღებულ იქნა მეორე რადიოგრამა. პილოტმა გადმოგვცა, რომ მიაღწია ამხ. რასკოვას დაშვების ადგილს.

4 საათსა და 45 წუთზე კერბიდან კომსომოლსკში გაფრინდა მფრინავი ამხ. ოვეჩკინი, რომელმაც გამოიკვლია ეს რაიონი თვითმფრინავების დაშვების პირობათა გამოსარკვევის მიზნით.

8 საათსა და 13 წუთზე კვლავ შესდგა ლაპარაკი კომსომოლსკთან, საიდანაც გვაცნობეს, რომ ამხ. გრიზოდუბოვას და ოსიპენკოს, აგრეთვე იმ პარაშუტისტებს, რომლებიც მათთან გუშინ თვითმფრინავებიდან დაეშვნენ, მიაწოდეს ორი ყუთი ვაშლი.

კომსომოლსკში გადაცემულ იქნა ბრძანება იმის შესახებ, რომ, როდესაც ამხ. რასკოვა თვითმფრინავ „როდინასთან“ მივა, მთელი ეკიპაჟი დაუყოვნებლივ უნდა წავიდეს მდინარე ამგუნისაკენ. მდინარესთან „როდინას“ ეკიპაჟმა და მისმა თანმხლებმა ამხანაგებმა უნდა დაუცადონ რეზინის დიდ ნავებს, რომლებსაც მათ თვითმფრინავიდან გადაუგდებენ. (საკდესი).

დამთავრდა გაზგენერატორული მსუბუქი ავტომობილის—„მ-1-ის“ გამოცდა

3 ოქტომბერს, 15 საათსა და 57 წუთზე, ვარშავის გზატკეცილის 105 კილომეტრზე დამთავრდა ინჟინერ ა. ი. პელტცერის კონსტრუქციის გაზგენერატორული მსუბუქი ავტომობილის „მ-1-ის“ საცდელი გადარბენა.

82 საათში მანქანამ გაიარა 5.000 კილომეტრი. საშუალო საექსპლოატაციო სისწრაფე საათში 61 კილომეტრს უდრის. გადარბენის კონტროლიორების მიერ ჩაწერილ იქნა ყველაზე მაღალი საშუალო ტექნიკური სისწრაფე 100 კილომეტრიან უბანზე—73 კილომეტრი საათში. გამოცდის დღეებში გაზგენერატორული დანადგარი უნაკლოდ მუშაობდა. (საკდესი).

თვითმფრინავი „პს-89“ აშხაბადში

აშხაბადი, 4 ოქტომბერი (საკდესი). დღეს 5 საათსა და 35 წუთზე ადგილობრივი დროით აშხაბადის აეროდრომზე დაეშვა თვითმფრინავი „პს-89“, რომელიც ასრულებს გადაფრენას 11 მოკავშირე რესპუბლიკის დედაქალაქებში. მანძილი ბაქოდან აშხაბადამდე (800 კილომეტრი) გავლილია 3 საათსა და 35 წუთში. ფრენა სწარმოებდა 200 მეტრ სიმაღლეზე.

მეგობარი ქალები

თვითმფრინავ „როდინას“ ეკიპაჟის მეთაური ვალენტინა გრიზოდუბოვა 28 წლისაა. მაგრამ მას საფრენოსნო მუშაობის უკვე ათი წლის სტაჟი აქვს.

ავიაციისადმი სიყვარული ვალენტინა გრიზოდუბოვას მემკვიდრეობით გამოჰყვა—თვითნასწავლი ნიჭიერი ავიაკონსტრუქტორის სტეფანე გრიზოდუბოვისაგან. 14 წლის იყო იგი, როცა უკვე მამის მიერ აგებული პლანერებით დაფრინავდა. 1928 წელს გრიზოდუბოვა, ხარკოვის ტექნოლოგიური ინსტიტუტის სტუდენტი, საფრენოსნო სკოლაში შედის.

მას ბევრი მძიმე დღე გამოუვლია: მაშინ ბევრს როდი სჯეროდა, რომ ავიაციაში მოსული ქალისაგან რაიმე გამოვა.

ამხ. გ. კ. ორჯონიკიძესთან შეხვედრა ერთერთი ყველაზე უფრო სასიხარულო დღეა ვალენტინა გრიზოდუბოვას ცხოვრებაში. ამ შეხვედრამ მას ყოველგვარი ეჭვი გაუფანტა.

სახალხო კომისარი ალერსიანად შეხვდა ახალგაზრდა ქალს, ყურადღებით მოუსმინა მას.

— მე მჯერა შენი,—სთქვა ამხ. ორჯონიკიძემ, — შენ დაიწყებ ფრენას. როცა მფრინავი გახდები, ჩემთან შემოიარე და მიამბე შენს მიღწევებზე.

გრიზოდუბოვამ წარმატებით — სამს თვეში — დაამთავრა საფრენოსნო სკოლა. იგი, რომელიც ერთერთი პირველი მფრინავი ქალი იყო თავდაცვა - ავიაქიმში, მფრინავი-ინსტრუქტორი გახდა.

მისი 86 ყოფილი მოწაფე თვითმფრინავთა საჭეებს უზის. მისი მოწაფეები უკვე დიდიხანია თვითონაც მასწავლებლები გახდნენ. ბევრი მათგანი მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეთაურია, ორდენოსანია.

1934 წლიდან გრიზოდუბოვა გორკის სახელობის აგიტესკადრილიის აგიტატორია: მან მიმოიფრინა თითქმის მთელი ჩვენი თვალუწვდენი ქვეყანა — პამირიდან ბაიკალამდე.

მგზნებარე საზოგადოებრივი მუშაკი ვალენტინა სტეფანეს-ასული დიდ მუშაობას ეწევა მუშურ-გლეხური წითელი არმიის ერთეულებში, სადაც მსახურობს მისი ქმარი, სამხედრო მფრინავი. 1936 წელს მთავრობამ იგი შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა. საავიაციო ტექნიკის საუცხოოდ დაუფლებისათვის მთავრობა მას 1937 წელს მეორე ორდენით — წითელი ვარსკვლავის ორდენით აჯილდოებს. განუწყვეტლივ აუმჯობესებს რა თავის ოსტატობას, ვალენტინა გრიზოდუბოვა ახალი მანქანების გამომცდელი ხდება.

მოკლე ხნის განმავლობაში ვალენტინა გრიზოდუბოვა ქალთა რამდენიმე რეკორდს ამყარებს, და მნიშვნელოვნად აჭარბებს სახელგანთქმულ ამერიკელ მფრინავ ქალთა საერთაშორისო მიღწევებს.

საბჭოთა ქვეყანას უყვარს და აფასებს თავის გმირებს. ყირგიზეთის სსრ ჩუისკის საარჩევნო ოლქის მშრომელებმა გრიზოდუბოვა თავის დეპუტატად აირჩიეს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში.

⁂

დაახლოებით ცხრა წლის წინათ, ვაეცნო პირველად მეფრინველეობის ფერმების რაიონული ორგანიზატორი პოლინა ოსიპენკო ავიაციას. სოფელში, სადაც იგი იყო, შემთხვევით დაეშვა ორი სასპორტო თვითმფრინავი. მას შემდეგ ოსიპენკო მუდამ მფრინავის პროფესიაზე ფიქრობდა.

პოლინა სევასტოპოლს მიემგზავრება და იქ სამუშაოდ შედის მფრინავთა სკოლის სასადილოში. სკოლის პარტიული ორგანიზაცია გაეცნო მის მისწრაფებას და დაეხმარა მას დაეწყო სწავლა.

და დაიწყო ხანგრძლივი, დაძაბული სწავლა. 1932 წლის დამლევს პოლინა ოსიპენკომ კარგად დაამთავრა სკოლა. იგი მუშურ - გლეხური წითელი არმიის სამხედრო მფრინავი გახდა. ის სანიმუშოდ მუშაობს და მოკლე ხნის შემდეგ რგოლის მეთაურად ინიშნება. კომუნისტი ქალი, შესანიშნავი მფრინავი, იგი არასოდეს არ სწყვეტს სწავლას, დიდ პასუხსაგებ მუშაობას ეწევა უფშემადგენლობის ოჯახის წევრთა შორის. დაეუფლა რა თვითმფრინავების მრავალ ტიპს, მან დაიწყო მეცადინეობა მაღლაფრენის დარგში და წინ გაუსწრო თავისი ერთეულის ყველა მფრინავს და მათ რიცხვში თავის ქმარსაც.

1936 წელს ის მონაწილეობას იღებს მუშურ - გლეხურ წითელი არმიის მეთაურთა და უფროსთა შემადგენლობის ცოლების სრულიად-საკავშირო თათბირში. მთავრობა მას შრომის წითელი დროშის ორდენით აჯილდოვებს. ის სიტყვას აძლევს ამხანაგ სტალინს, რომ უფრო უკეთესად იფრენს და კიდევაც ასრულებს თავის სიტყვას.

საერთაშორისო საავიაციო ფედერაციის ტაბულაში უკვე ჩაწერილია პ. დ. ოსიპენკოს 6 რეკორდი.

პოლინა დენისოვის-ასული ემზადება სამხედრო - საჰაერო აკადემიაში შესასვლელად, ამთავრებს წითელი არმიის სახლთან არსებულ საღამოს მუშფაკს. ამავე დროს ოსიპენკო ემზადება აგრეთვე ახალი არაჩვეულებრივი გადაფრენისათვის შავი ზღვის ნაპირებიდან თეთრი ზღვის ნაპირებამდე. 1938 წლის 2 ივლისს პოლინა ოსიპენკომ თავის მებრძოლ მეგობრებთან ვერა ლომაკოსთან და მარინა რასკოვასთან ერთად ბრწყინვალედ შეასრულა ეს გადაფრენა.

„ვამაყობთ საბჭოთა მფრინავი ქალების მამაცობით, გამძლეობით და მაღალი ოსტატობით, რომელთაც თავისი ბრწყინვალე გადაფრენით კიდევ ერთი რეკორდი ჩასწერეს საბჭოთა ავიაციის ისტორიაში“.

ხალხთა ბელადის ამხანაგ სტალინისა და მისი თანამებრძოლების ამ მისასალმებელმა სიტყვებმა მთელი ხალხის გრძნობები გამოჰხატეს. მთავრობამ გულადი მფრინავი ქალები ლენინის ორდენით დააჯილდოვა. თავდაცვის სახალხო კომისრის, საბჭოთა კავშირის მარშლის ამხ. კ. ე. ვოროშილოვის ბრძანების თანახმად, ამხ. ოსიპენკოს მიეკუთვნა კაპიტანის სამხედრო წოდება, ხოლო ამხ. რასკოვას — უფროსი ლეიტენანტის წოდება.

არხანგელსკში ამ გადაფრენის შემდეგ პოლინა ოსიპენკომ და მარინა რასკოვამ იწყეს მზადება ახალი კიდევ უფრო შესანიშნავი გადაფრენისათვის.

⁂

გადაფრენის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე — მარინა მიხეილის-ასული რასკოვა დაიბადა 1912 წელს. იგი ბავშვობიდანვე ოცნებობდა გაფრენაზე. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 16 წლის ქალიშვილი მარინა ლაბორანტად წავიდა ქარხანაში. ეს ძალიან შორს იყო ავიაციისაგან.

მაგრამ აი იგი გადადის სამუშაოდ მუშურ - გლეხური წითელი არმიის ჟუკოვსკის სახელობის სამხედრო - საჰაერო აკადემიის ლაბორატორიაში, შედის სამოქალაქო საჰაერო ფლოტის დაუსწრებელი ინსტიტუტის აეროსანავიგაციო ფაკულტეტზე.

ლაბორატორიის უფროსი ა. ვ. ბელიაკოვი, ამჟამად საბჭოთა კავშირის გმირი, ყურადღებას აქცევს ახალგაზრდა, საზრიან, ნიჭიერ ქალს, რომელიც შტურმანის პროფესიაზე ოცნებობდა. იგი ასწავლის მას, თან დაჰყავს გაფრენებში.

მარინა რასკოვა ამთავრებს უმაღლეს სასწავლებელს და ღებულობს შტურმანის დიპლომს. თავის სპეციალობას იგი საფუძვლიანად ეუფლება. მას ანდობენ აკადემიაში მასწავლებლობას, იგი ინსტრუქტაჟს უწევს მეთვალყურე მფრინავებს. მის მოწაფეებს შორის ცოტა როდია სამხედრო ავიაციის საუცხოო შტურმანები.

საშტურმანო საქმის შესწავლასთან ერთად რასკოვა ამთავრებს საფრენოსნო სკოლას. შტურმანი-პილოტი მარინა რასკოვა მუშაობს ინსტრუქტორად ბრმა ფრენის დარგში. მან შტურმანად იფრინა ვალენტინა გრიზოდუბოვასთან 1937 წელს პირდაპირი ხაზით მსუბუქმოტორიანი სასპორტო თვითმფრინავით. მათ ძირდაუშვებლად იფრინეს აქტიუბინსკამდე 1444 კილომეტრი და ახალი საერთაშორისო რეკორდი დაამყარეს.

⁂

სხვადასხვა გზით მოვიდა ეს სამი ქალი ავიაციაში. მაგრამ ერთი რამ ანათესავებს მათ: გმირობა, ოსტატობა, მზადყოფნა გაიმარჯვონ თავისი დიდი სამშობლოს სასახელოდ.

მფრინავ ამხ. დერკუნსკის ნაამბობი

სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მფრინავმა ამხ. დერკუნსკიმ, რომელმაც აღმოაჩინა მ. რასკოვა, ამურის კომსომოლსკიდან მოსკოვს პირდაპირი მავთულით გადასცა შემდეგი:

— ამხ. რასკოვა ვნახე დაბალი ფრენის დროს. ეს რომ ნამდვილად რასკოვა იყო, ამაში დამარწმუნა მისმა ტანსაცმელმა. მკაფიოდ დავინახე მის თავზე საავიაციო მუზარადი. ამხ. რასკოვა ცხვირსახოცით მანიშნებდა, რომ იგი პარაშუტით დაეშვა მიწაზე.

მას შემდეგ, რაც ამხ. მ. რასკოვას საკვები გადავუგდე და ვუჩვენე გზა თვითმფრინავ „როდინასაკენ“, იგი მცირე ხნის შემდეგ გაემართა ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით. რგოლის მეთაური ამხ. რომანოვი თვალყურს ადევნებდა მის მოძრაობას. რათა მ. რასკოვა სწრაფად იქნას მიყვანილი თვითმფრინავთან, საჭიროა მის დასახმარებლად ჩავუშვათ ორი პარაშუტისტი. (საკდესი).

ყინულმჭრელ „ი. სტალინის“ რეისი

ყინულმჭრელ „ი. სტალინის“ გემბანი, 1 ოქტომბერი (საკდესის სპეცკორესპონდენტისაგან, მიღება დაგვიანებულია). მოულოდნელად ამოვარდნილმა ქარიშხალმა გვაიძულა შეგვეწყვიტა ნახშირის გადმოტვირთვა ყინულმჭრელიდან ჩელუსკინის კონცხზე. ეკიპაჟის 20-ზე მეტი კაცი, ძლიერი ღელვის გამო, მოკლებულია საშუალებას დაბრუნდეს ნავით პოლარული სადგურიდან გემზე. ყინულმჭრელი კიდევ უფრო დაშორდა ნაპირს და ღუზაზე სდგას.

დღეს საღამოს იშვიათი კარგი ხილვადობა იყო. ჩამავალი მზის შუქზე მკაფიოდ გამოჩნდა ვილკიცკის სრუტის მეორე ნაპირზე მდებარე ჩრდილოეთის მიწის ცისფერი ნაპირები.

ვამრავლოთ ნავთის შადრევნები!

ნორიოს ნავთი

1938 წლამდე მარტყოფ-ნორიოს მიდამოების გეოლოგიური შესწავლა ხანგამოშვებით მიმდინარეობდა. მოწვეული იყვნენ მოსკოვის, ლენინგრადისა და ბაქოს ცნობილი გეოლოგები, რომლებმაც გაშალეს ნავთის საძიებელი სამუშაოები, დარწმუნდნენ ნორიოში ნავთის არსებობაში და შემდეგ კი სახელმწიფო მნიშვნელობის ეს უდიდესი საქმე შუაგზაზე მიატოვეს.

რატომ? შესაძლებელია იმიტომ, რომ გეოლოგებს ეჭვი შეეპარათ ნორიოს ნავთის დიდ სამრეწველო მნიშვნელობაში, მისი მარაგის სიდიდეში და ნავთის მაღალხარისხოვნობაში. ამასთან ერთად „საქნავთში" მოკალათებული იყვნენ მავნებლები, რომლებიც დაინტერესებული არ იყვნენ ნორიოს ნავთის აღმოჩენით. ისინი ხელოვნურად ართულებდნენ, აძნელებდნენ და აჭიანურებდნენ საძიებელ სამუშაოებს. რასაკვირველია, ასეთი „ხელმძღვანელების" წყალობით გეოლოგიური სამუშაოები ბოლომდე ვერ იქნებოდა მიყვანილი.

ამ მოწვეულ გეოლოგებთან ერთად მარტყოფ-ნორიოს მიდამოების წიაღს იკვლევდა და სწავლობდა გეოლოგი ნ. ქებაძე, რომელიც ნორიოს ნავთის საკითხში სხვა შეხედულებისა იყო და თავისი მუშაობა დამოუკიდებელი გზით წარმართა.

ამხანაგმა **ლ. ბერიამ** ნავთის საძიებელი სამუშაოების გაშლის განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია და გეოლოგ ქებაძეს ყველა პირობა შეუქმნა. მართლაც, უკვე მალე გეოლოგი ნ. ქებაძე, ეყრდნობა რა ნორიოს მიდამოების წინასწარი გეოლოგიური შესწავლის მონაცემებს, პრაქტიკულ დასკვნას აკეთებს: საჭიროა საძიებელი ჭაბურღილების დადგმა და მიწის ბურღვის დაწყება.

საძიებელი ჭაბურღილების დადგმის აუცილებლობაში რომ დარწმუნებულიყო, ამხანაგმა ლ. ბერიამ წინასწარ პირადად დაათვალიერა ნორიოს მიდამოები და კარგახანს ესაუბრა ნორიელ გლეხებს, რომლებმაც მას უამბეს, თუ წინათ ამ ადგილებში როგორ სთხრიდნენ წერაქვით ღრმა ჭებს და როგორ იღებდნენ ცოტ-ცოტა ნავთს.

ამის შესახებ საინტერესოა ერთ-ერთი მოხუცი ნორიელი კოლმეურნის ია წიახაშვილის ნაამბობი. მისი გადმოცემით, მსოფლიო ომის დაწყებამდე (ე. ი. 1914 წლამდე) თბილისიდან ნორიოში ჩავიდა ნავთის მდიდარი ვაჭარი, გვარად ხაჩატუროვი. მან დაიქირავა გლეხები და ჭების გათხრა დაიწყო. 60-80 საჟენის სიღრმეზე ნავთი უკვე ჟონვას იწყებდა და ჭაში ყვითელი გუბე დგებოდა.

ია წიახაშვილმა კიდევ ერთი საინტერესო ამბავი გაიხსენა. ვიდრე „შენავთე" ხაჩატუროვი ნავთის ჭების გათხრას დაიწყებდა, თურმე ნორიოში ნავთის არსებობა უკვე იცოდა ერთერთმა ბაქოელმა ნავთის მრეწველმა კამალოვმა, რომელსაც ხაჩატუროვივით რამდენიმე ჭა ამოეთხარა, ნავთით ბოთლები აევსო და შიგვე შეენახა, ჭები კი ისევ მიწით ამოევსო.

— ხაჩატუროვსა და კამალოვს დიდი ჩხუბი მოუვიდათ, გლეხები ამ სეირს ვუყურებდით—ამბობს ია წიახაშვილი. — კამალოვი ხაჩატუროვს არწმუნებდა, ეს ნავთი ჩემი აღმოჩენილია, ნავთით სავსე ბოთლები ჩემი დამალულიაო.

◦

ამხანაგმა ლ. ბერიამ გასცა განკარგულება, რომ ჭაბურღილები დაედგათ და ბურღვა დაეწყოთ. ყველაფერი სასწრაფოდ მოგვარდა. დაიდგა 3 კრელიუსის ჭაბურღილი და ერთიც ღრმა ჭაბურღილი. მიმდინარე წლის 20 აგვისტოს კი უკვე მიწის ბურღვა დაიწყო.

ბურღვამ სასწაულებრივი შედეგები მოგვცა. უკვე 13 სექტემბერს, დღის 3 საათზე № 16 ჭაბურღილზე 182 მეტრის სიღრმიდან ამოხეთქა ნავთის მძლავრმა შადრევანმა. შადრევანის სიმაღლე დედამიწის ზედაპირიდან 15 მეტრს უდრიდა.

ნავთის შადრევანმა მეორე დღის თითქმის დილის 8 საათამდე იდინა. ამ ხნის განმავლობაში 90 ტონაზე მეტი ნავთი ამოვიდა.

წითელწყაროს ლაბორატორიაში ნორიოს ნავთის ანალიზმა ძალიან კარგი შედეგი გამოიღო. ნორიოს ნავთის შემადგენლობაში აღმოჩნდა 40 პროცენტი ბენზინი და სხვა ძვირფასი საწვავი მასალა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ავიაციის განვითარებისა და ჩვენი ქვეყნის სამხედრო ძლიერების განმტკიცებისათვის.

20 სექტემბერს **ნორიო-მარტყოფის** რაიონში **ნავთის ახალი საბადოს** აღმოჩენასთან დაკავშირებით ნორიოს ნავთის საძიებელ სამუშაოთა სტახანოველებისა, დამკვრელებისა და ინჟინერ-ტექნიკოსებისადმი მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის ამხ. **კაგანოვიჩის** მიერ გამოგზავნილი მისალმების გამო შესდგა სახელდახელო მიტინგი. მიტინგზე ბრიგადირებმა და სტახანოველმა მბურღავებმა პოპოვმა, კუტირიოვმა, კოზირიოვმა, კაბალაცკიმ, ბუდოხინმა, ჩერკაშინმა, სიპეტოვმა, რამაზოვმა და სხვებმა პირობა დასდეს, რომ აუცილებლად საქმით შეასრულებენ ამხ. კაგანოვიჩის დავალებას და მიმდინარე წლის დასასრულს ნორიოს ნავთის სამრეწველო ექსპლოატაციას შეუდგებიან.

ინჟინერ-გეოლოგის ამხ. აკ. კობახიძის თქმით, პირველ რიგში საჭიროა გამოიცვალოს ჭაბურღილების მანქანა-მოწყობილობანი — დაზგები, სხვადასხვა ინსტრუმენტები, ღვედები, ტუმბოები და სხვ. ეს აგრეგატები კაპიტალურ რემონტს საჭიროებენ, რადგან ისინი უკვე საკმაოდ გაცვდნენ და მოძველდნენ. ამ აგრეგატებმა შირაქში გაბურღეს 12 ათასი მეტრი და სუფსაში 12500 მეტრი.

ნორიოში გასაბურღავია 10 ათასი მეტრი, რაც მარტო ამ აგრეგატებით შეუძლებელია. ამიტომ „საქნავთის" ხელმძღვანელებმა ნორიოში დადგმული საძიებელი ჭაბურღილები ახალი მოწყობილობით უნდა მოამარაგონ, წინააღმდეგ შემთხვევაში ბურღვის გეგმების შესრულება დადგება საფრთხის წინაშე, რაც ცალკეულ ჭაბურღილებზე უკვე ახლაც იგრძნობა.

ნორიოს ნავთს დიდი მომავალი აქვს. ეს კი მთელ კოლექტივს ავალებს რაც შეიძლება მალე დაამთავრონ გეოლოგიურ-საძიებელი სამუშაოები, მოამზადონ პირობები ექსპლოატაციისათვის და სოციალისტურ სახელმწიფოს რაც შეიძლება მალე მისცენ სამრეწველო ნავთი.

ქ. მავზარაშვილი

> „მნიშვნელობა აქვს არა მარტო ბურღვის გეგმის შესრულებას, არამედ ბურღვა ისე უნდა მოეწყოს, რომ ნავთის გამოსაკვლევი ფენების მდებარეობისა და სიმძლავრის გამორკვევასთან ერთად მივიღოთ სამრეწველო ნავთი".
>
> **ლ. ბერია**
>
> საანგარიშო მოხსენებიდან საქ. კ. პ. (ბ) XI ყრილობაზე.

სუფსის საბადოებზე ჩამორჩენა

მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს უკვე ცნობილი იყო, რომ საქართველოში გურიის ტერიტორიაზე არსებობდა ნავთის საბადოები, მაგრამ მათი წიაღი მიუწვდომელი და საიდუმლოებით მოცული რჩებოდა.

1827 წელს სუფსის მიდამოებში მიაგნეს ნავთის კვალს. ამის შემდეგ 1870 წლამდე არავითარი სერიოზული ძიება არ ჩატარებულა. 1870 წელს რომელიღაც მრეწველის ინიციატივით ჩატარდა გეოლოგიური სამუშაოები, რასაც არსებითი შედეგი არ მოჰყოლია.

ასევე უშედეგოდ დასრულდა 1896 წელს ჩატარებული საძიებელი მუშაობა. 1914 წელს საბურღავი სამუშაოები განახლდა ერთერთი გერმანელი კაპიტალისტის ინიციატივით. ამ სამუშაოებს ხელმძღვანელობდა გეოლოგი ნოტი. მაგრამ დაიწყო მსოფლიო ომი, ჩატარებული საბურღავი სამუშაოები მიატოვეს უცხოელმა კაპიტალისტებმა და ეს ადგილები ისე ამოჭქოლეს, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში მათი მიგნებაც შეუძლებელი იყო.

1927 წელს „აზნეფტმა" დაიწყო სუფსის ტერიტორიაზე კვლევითი სამუშაოები, მაგრამ ხალხის უსაზიზღრესი მტრების მავნებლური მუშაობის შედეგად, რეალური შედეგი არ იქნა მიღწეული.

* * *

ასე განვლო ასმა წელმა გურიის ნავთის ძიებაში, მთელი საუკუნის მანძილზე მრავალმა გეოლოგმა მიიღო მონაწილეობა სუფსის ნავთის საძიებელ სამუშაოებში; თითქმის მთელი საუკუნის მანძილზე კაპიტალისტებმა ვერ მოახერხეს მიეგნოთ გურიის ნავთისათვის, ვერ შესძლეს რეალური შედეგების მიღწევა.

მავნებლობის შედეგების ლიკვიდაციით, „საქნავთის" ახალმა ხელმძღვანელობამ 1937 წლიდან გაშალა მუშაობა სუფსის მიდამოებში ნავთის ძიებისათვის.

1938 წლის ივნისში საქართველოს ბოლშევიკების ნაცადმა ხელმძღვანელმა ამხ. **ლ. პ. ბერიამ** ინახულა სუფსის ნავთის სამუშაოები, სწორედ ამ დღეს ამოხეთქა ნავთმა ჭაბურღილიდან. აქაურმა ხელმძღვანელებმა და სტახანოველებმა სთქვეს ბოლშევიკური სიტყვა: „გურიაში არის ნავთი!".

სუფსის ნავთის შესახებ სსრ კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის ამხ. **ლ. კაგანოვიჩის** მიერ გამოცემულ სპეციალურ № 317 ბრძანების მეორე მუხლში ნათქვამია: „...გაიბურღოს მიმდინარე წელს 6 ჭაბურღილი საერთო მეტრაჟით — 3.700 მეტრი, ორგანიზებულ იქნას საბურღი სამუშაოები სექტემბერში ორი დაზგით და ოქტომბერში დაემატოს კიდევ ერთი".

რა მდგომარეობაა დღეს?

დღეისათვის არცერთი დაზგა არ არის დადგმული, არცერთი მეტრი არ არის გაბურღული. დაზგები უნდა დაიდგას № 2 და № 3 საბურღლებზე.

№ 2 საბურღზე არ არის მომზადებული მოედანი კოშკის დასადგმელად, არ არის მიყვანილი გზები იარაღ-მანქანათა გადასაზიდად, არ არის აშენებული საწვავი მასალის საწყობი.

№ 3 საბურღზე კოშკის მშენებლობა დაუმთავრებელია. ჭიანურდება გზის გაყვანა.

დღემდე აქ ზოგიერთი სამუშაოს ჩასატარებლად პროექტებიც კი არ მიუღიათ.

„საქნავთი" ოპერატიულად ვერ ხელმძღვანელობს ამ სამუშაოებს. ნელი ტემპით მიმდინარეობს მანქანების და საჭირო ხელსაწყოების მიწოდება.

უნდა აშენდეს მექანიკური სახელოსნო და გარაჟი, არა ჰყავთ მექანიკოსი ელექტრო მონტაჟისათვის და ამ სამუშაოს ასრულებენ თვითონ მბურღავები.

დაწყებული არ არის ელსადგურის მშენებლობა, მიღებულია მხოლოდ ძრავები, უნდა აშენდეს წყლის აუზები, ჯერ არც ეს სამუშაო დაუწყიათ. მიღებული არ არის საშენი ხე-ტყის მასალა.

„საქნავთს" დადებული აქვს ხელშეკრულება საქართველოს საგზაო მშენებლობის სამმართველოსთან გზების მშენებლობის შესახებ, მაგრამ სამმართველო არ ასრულებს ამ ხელშეკრულებას, „საქნავთის" ხელმძღვანელობა კი თავს ნაკლებად იწუხებს, არ ღებულობს ზომებს მდგომარეობის გამოსასწორებლად.

სასწრაფოდ უნდა დაწყებულიყო ცემენტის, ჟანგბად-კარბიდის, სამასალო, ბარიტის და სხვა საწყობების მშენებლობა, უნდა დადგმულიყო საროტორო დაზგები ნავთსაბურღლებზე.

დღემდე თითქმის არავითარი ზომები არ არის მიღებული იმისათვის, რომ შესრულდეს სტალინელი სახკომის ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩის ბრძანება.

ბაქოდან სპეციალურად ჩამოყვანილი მბურღავები და სხვა სპეციალობის მუშები ახლა აქ უსაქმოდ არიან, ელოდებიან სამუშაოს დაწყებას.

ასეთი მდგომარეობა ყოვლად შეუწყნარებელია. სტახანოველი მუშები ამხ. არაქელოვი, ფროლოვი, ნაცანერიუსი, იბრალიძე, კაჩმაზოვი, ბუიანცევი, ნაკაიძე, ვერიგო და სხვები მზად არიან თავდადებით იმუშაონ და წარმატებით შეასრულონ საბურღავი და სხვა სამუშაოები, მაგრამ მათ სათანადო პირობებს არ უქმნიან.

ჩვენი სოციალისტური მრეწველობის აღმავლობა მოითხოვს მეტ ნავთს. „საქნავთმა" (მმართველი — ამხ. მგელაძე) სწრაფად უნდა გარდაჰქმნას მუშაობა იმ მხრივ, რომ უახლოეს დღეებში უზრუნველჰყოს სუფსის ნავთის სამუშაოები საჭირო იარაღ-მანქანებით, გაუწიოს მას ყოველდღიური ცოცხალი დახმარება.

„საქნავთის" წინაშე სდგას სერიოზული ამოცანა, — მისცეს ქვეყანას სუფსის ნავთი უახლოეს 2-3 თვეში. და ეს სავსებით შესაძლებელი და რეალურია, თუ „საქნავთის" ხელმძღვანელობა ბოლშევიკურად იბრძოლებს სუფსის ჭაბურღილების ამუშავებისათვის, იბრძოლებს იმისათვის, რომ პირნათლად შეასრულოს ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩის ბრძანება. ეს ბრძანება კი იმას ითვალისწინებს, რომ დაუყოვნებლივ დაიწყოს ღრმა ბურღვა № 2 და № 3 ჭაბურღილებზე, რათა გურიის ნავთის ჭაბურღილები მალე შეემატოს საბჭოთა კავშირის მრავალ ათასეულ ჭაბურღილებს, მრავალ ათასეულ შადრევნებს.

შ. ფურცხვანიძე

სუფსის ნავთის სტახანოველები

ამხ. მ. ვერიგო, მ. გრძელიძე, ნ. ფროლოვი, მ. ნაკაიძე, ი. ბუიანცევი, ა. სტუჩილინი და ს. ნაცანერიუსი. უკან—ჭაბურღილი № 3.

ფოტო-მონტაჟი ი. იმედაძისა

გ. ლეონიძე

ნორიო

ოდესღაც გამივლია აქ, ამ ალაგებში. კარგად მახსოვს ერთი ადრეული გაზაფხულის დილა. ახლად თოვლშემოცლილ მიწაზე შეფრქვეულიყო ბალახის ბუსუსები და ლუსუმა — გაზაფხულის პირველი ყვითელი ყვავილი. აქ, სადაც დღეს ნავთობის საბადოა, ფარცხზე გასული ნორიელი მეხრეები ხარებს მიერეკებოდნენ და თან საუბრობდნენ დაახლოვებით ისევე, როგორც შეზღასებულან მელანიას „ბნელოში":

— ნეტა, ბიჭებო, მჭადი სხვაგანაც იქნება?

— ჰმ! მაშ უმჭადო ალაგი იქნება? სადაც გლეხკაცია, მჭადიც არი!

— გლეხკაცი რო არ გაეჩინა ღმერთსა, ხო არც მჭადი იქნებოდა ქვეყანაზე?

— ვილასთვინ იქნებოდა?

ტყავწამოსხმული დროული კაცი დადიოდა ხნულში, წინსაფარიდან აბნევდა სათესლე ხორბალს და გაბნეულ მუჭას ჩუმად რაღაცას აბარებდა. დაძონძილი მეხრეები სიმღერას ზუზუნებდნენ და ნატრობდნენ, რომ ამინდს თესლი არ გაელაყებინა, ყანას ღოჯი გაედგა და პური დაეყარა—ბრინჯივით თავთავი. აქაური გლეხის ერთადერთი იმედი პური იყო, მაგრამ გადაგოლვილი მინდვრები ხშირად ვერა ხარობდნენ დაპურებული ყანებით.

* * *

გარეკახეთი „ნაპირა ქვეყანა" იყო და თან თბილისის მიმდგომი. თბილისზე მოსეულ მტერს ცეცხლითა და მახვილით უნდა გაევლო ამ არემარეში, თბილისს კი უთვალავი მტერი ჰყავნდა—სპარს-ხაზარ-არაბ მონგოლებიდან დაწყებული და თურქებითა და ლეკებით გათავებული. თვითეულ მათგანს მოუტარებია ხმალი გარეკახეთზე, ცეცხლით გადაუბუგია აქაური მინდვრები და ნასახლარებად უქცევია ღონიერი სოფლები. აქ, დიდი ნანგრევები ჯერ კიდევ XIV საუკუნეში გაჩნდა. შემდეგ, 1616 წ. შაჰაბაზმა აქაური მოსახლეობა მთლიანად აჰყარა და ერანში გადაასახლა, სადაც დღესაც არის ქართული მოსახლეობით სოფლები ნორიო, მარტყოფი (ფერეიდანში) და სხვ. შაჰაბაზის შემდეგ გადარჩენილი თითოოროლა კომლი ნადირ-შაჰმა მოსრისა, XVIII საუკუნეში ლეკების თარეშმა საბოლოოდ გააუკაცურა აქაურობა. „გარდმოვიდა დიდრონი ჯარები დაღისტნიდან, დაუწყეს რბევა თბილისისა გარეშემოთა", „დაწვეს ნაშრომი და არსად გაუშვეს შენობა"—ხშირია ასეთი ცნობები ჩვენს მატიანეებში. ამ დროს ეკუთვნის სხვათა შორის ის სიმღერაც, რომელსაც დღესაც მღერიან საქართველოში:

„მარტყოფს ქალი დავიკარგე,
განჯაში თათრის ტყვე ვარო!"

და შემთხვევითი როდი იყო, რომ 1820-იან წლებში ერთს ქართველ მგზავრს (გ. ავალიშვილს) ეგვიპტის ქალაქ ალექსანდრიაში მარტყოფიდან მოტაცებული და იქ გასყიდული გლეხები შეჰხვდნენ... მაგრამ ქართველმა გლეხმა დიდ ისტორიულ მანძილზე არ დაკარგა ძალა და იმედი, თავისი კერა და „მშობლიური, ტკბილი ცა". ისევ აბოლდა ნორიო-მარტყოფში კერის ცეცხლი და წამებულ მიწაზე, სადაც ისტორიას გადაუღებლივ სისხლი და ცეცხლი უწვიმებია, ძველ ნაზუდარზე, სოფელ დიდ-ლილოში, შრომობდა, მხნეობდა და ვაჟკაცობდა ჯუღაშვილების კერა, რომელმაც მსოფლიოს მისცა დიდი სტალინი.

ასეთი შარავანდედი ადგია ამ მიწას...

* * *

25 სექტემბერს ვინახულე ნორიოს ნავთობის საბადო. უდაბურ ადგილას ამართულია რამოდენიმე ჭაბურღილის კოშკი, დაუდგამთ ბურღები. მიწაზე ჰყრია მოტანილი თუჯის მილები, ცემენტი, ხმაურობენ საბარგო ავტომანქანები, ფუსფუსებენ ტექნიკოსები, ბურღვის მუშაკები, გეოლოგები, ადგილობრივი კოლმეურნეები.

ვნახეთ ის ადგილი, სადაც მძლავრმა ნავთის შადრევანმა ამოხეთქა წიაღიდან. მიწის ზედაპირზე ნარინჯისფრად ჩუხჩუხებს ქაფიანი ნავთობი, ისვრის წინწკლებს და ახარებს გულს. აქაური კოლმეურნეები აღტაცებას ვერა მალავენ და გაკვირვებაში არიან თავისი მამულის სიმდიდრით.

— წინათ აქ ორი ღერი თავთავი ძლივს მოგვყავდა, ან ღამისხარს თუ გამოვრეკავდით საძოვრად — ვინ იფიქრებდა, რომ ასეთ მადანზე გვდგომია ფეხი? ნათქვამია, შვიდ წელიწადში ერთხელ გუთნის სახნისი წვერს ოქროს წაჰკრავსო! ჩვენ ერთიც არ გაგვიგონია და თურმე რა სიმდიდრე ყოფილა მოსარეწავი!

— მშვენიერი ხარ ხოხობო, ბოლო რო გამოგიჩნდება!.. ღიღინებს მეორე და მხნედ მუშაობს ბურღვაში...

ორასამდე მუშა თავს ადგა სამუშაოებს... იბურღება მიწა, რომ ახალ-ახალ შადრევნებმა დაიძახონ, იგეგმება ნაკვეთი, სადაც უნდა გაშენდეს მუშების საბინადრო ადგილი, საბარგო მანქანებს მოაქვთ შესაფერი მასალა. ლენინ-სტალინის პარტიის დაუცხრომელი ნებით იბადება სოციალისტური მრეწველობის ახალი გიგანტი, იბადება ახალი სიცოცხლე...

* * *

ნავთის მარაგის პირველი მახარობელი იყო ბურღილი № 16, რომელიც ასი მეტრის სიღრმის შემდეგ უკვე იძლეოდა მოუსვენრობის ნიშნებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო აირის ამოსვლა. 13 სექტემბერს მბურღავების ახლად შეცვლილმა ბრიგადამ გასჭრა მხოლოდ 70 სანტიმეტრი და 182 მეტრის სიღრმიდან უეცრად იფეთქა შადრევანმა, რომლის სიმაღლე 15-20 მეტრს შუა ქანაობდა...

— ეს იყო დღის 3 საათი,—გვიამბობს ნორიოს ნავთობის ენტუზიასტი, გეოლოგი ნოე ქებაძე. დაახლოვებით ნახევარი საათის შემდეგ, მივედით ბურღთან ტრესტის მმართველი ამხ. ა. მგელაძე, უფროსი გეოლოგი ა. ლალიევი და მე. ჩვენ ავტოთი მივდიოდით ღრმა ბურღთან და ამ დროს დავინახეთ ეს მშვენიერი და დაუვიწყარი სანახაობა. ჰაერში იფრქვეოდა მოყავისფრო შადრევანი. იგი სცემდა 100 ტონაზე მეტ სიძლიერით დღეღამეში.

* * *

ამ არემარეში ნავთი ძველადაც იყო ცნობილი. თვით სახელწოდება „ნავთლუღი", რომელიც ნორიოს დაშორებულია 16 კილომეტრით, წარმოშობილა „ნავთიდან". ჯერ კიდევ ქართველი მეფეების დროს, ნავთლუღში შავი ნავთის წყაროები ამოდიოდა. XIX საუკუნის დამდეგს, დღეში დაახლოვებით 20 ვედრო ნავთს იღებდნენ. საყურადღებოა, რომ ძველად ნავთით უზავებიათ ციხეგალავნებისა და სხვა მტკიცე შენობისათვის გამზადებული კირი. XVIII საუკუნის ერთ უცხოელ მოგზაურს ქიმიური ანალიზიც კი მოუხდენია მტკვარში მდგარ რომელიღაც ნანგრევისა ამ წესის შესამოწმებლად.

ნორიოშიც იყო ცნობილი ნავთი. დიდი ჭაბურღილის დასავლეთით პატარა ღელეს ახლაც ეწოდება „ნავთიღელე". ხოლო სადაც დღეს ღრმა ბურღი დგას, ადგილობრივი გლეხები ჯამებით აგროვებდნენ ხოლმე ნავთს. გარეკახეთის ანუ ნორიო-უჯარმის რაიონის გეოლოგიურ აგებულობას და ნავთობიანობას გასული საუკუნის სულ უკანასკნელ ხანებშიც აქცევდნენ ყურადღებას. ომის წინა წლებშიც ამ მიდამოებში განზრახვა ჰქონიათ ჭების საშუალებით ამოეღოთ ნავთობი, მაგრამ ეს წამოწყება უსიცოცხლო გამხდარა ჯერ კაპიტალისტურ წინააღმდეგობათა გამო, მეორეც, იმიტომ, რომ, როგორც ადრინდელი გაყვანილი ჭების მდებარეობა გვიჩვენებს, მათ გამყვანებს არ ჰქონიათ სწორი წარმოდგენა ძირითადი ნავთობიანი ფენების მდებარეობაზე.

საქართველოს ნავთობიანი რაიონების სათანადო შესწავლა მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ხდება, კერძოდ ნორიო-უჯარმის რაიონის კვლევა 1930 წლიდან მიმდინარეობს. უნდა აღინიშნოს ძველად აქ მომუშავე ზოგიერთი გეოლოგის შემცდარი შეხედულება — მათის აზრით თუმცა რაიონი საკმაოდ მდიდარი იყო ნავთობის ზედაპირული ნიშნებით, მაინც გეოლოგიური აგებულობის სირთულის გამო სამრეწველო მნიშვნელობას საბადო არ წარმოადგენდა.

ნორიო-მარტყოფის ნავთობის საბადოს ნამდვილი შესწავლა მხოლოდ მაშინ დაიწყო, როდესაც ამ საქმეს ჩვეული მხნეობით და ყურადღებით მოჰკიდა ხელი ამხანაგმა **ლავრენტი ბერიამ.**

* * *

5 ივლისს, ლავრენტი ბერიამ ადგილობრივ ინახულა ნორიოს და მარტყოფის საბადოები. მისი მითითებით განახლებულ იქნა ბურღვა ამ რაიონში და დაპროექტდა პირველი ღრმა ჭაბურღილი, რომელიც ამჟამად მუშაობს.

ამხ. ლ. ბერიას ზრუნვით დადგმულმა ბურღმა უკვე მოგვცა საუკეთესო შედეგი. ბურღმა № 16, რომელმაც მუშაობა დაიწყო 22 აგვისტოს, უკვე 13 სექტემბერს მოგვცა იშვიათი ხარისხის ნავთობის შადრევანი.

13 სექტემბრის შადრევანმა ძირითადად გადასწყვიტა ნორიოს რაიონის ნავთობიანობის საკითხი. უდავო ხდება, რომ ნორიოში ჩვენ სამრეწველო რაოდენობით გვაქვს იშვიათი ხარისხის ნავთობი და მიწის წიაღიდან მისი მოპოვება შემდგომი მუშაობის საქმეა.

ამასთან სასიხარულოა ის გარემოება, რომ ნავთობიანობით მარტო ნორიო არ ამოიწურება. გეოლოგ ნ. ქებაძის სიტყვით, რომელსაც ამ რაიონში დიდი საკვლევო მუშაობა აქვს ჩატარებული, ასეთივე შედეგებს უნდა მოველოდეთ ნორიოს აღმოსავლეთითაც პატარძეულამდე და დასავლეთით არაგვამდე.

საყურადღებო ფაქტია, ამბობს ქებაძე, რომ შადრევანის დროისათვის ჩვენ უკვე გვქონდა მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის ამხ. **კაგანოვიჩის** ბრძანება ნორიოში სარეწაოს მოწყობის შესახებ და სპეციალური კომისიაც მუშაობდა (ამჟამადაც მუშაობს). № 16 ბურღილის შადრევანი თითქოს პასუხი გახდა ამ ბრძანების შესრულებისათვის მზადყოფნის შესახებ.

ნორიოს საბადოს დიდი მომავალი აქვს. ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ აქ იქნება დიდი რაოდენობის ნავთობი, მეორეც,—ეს ნავთობი იშვიათი ხარისხისაა და მესამეც—ნორიოს საბადო საქართველოს დედაქალაქიდან მხოლოდ 22 კილომეტრით არის დაშორებული. ყოველივე ეს, ნორიოსათვის დიდი მომავლის მომასწავებელია...

პარტიისა და ხელისუფლების მეოხებით—ოდესღაც მივიწყებული ნორიო ახლო ხანებში საკავშირო ნავთისან ბაზად გადაიქცევა...

ნორიოს ოდესღაც გატრამალებულმა, გარუჯულმა მინდვრებმა ქვეყანას უნდა მისცეს მაღალხარისხოვანი სამრეწველო ნავთი...

ჯერ თესლიც არ მოუმზადებიათ

თბილისის რაიონში ამ შემოდგომაზე თავთავიანი კულტურები სულ 22.875 ჰექტარზე უნდა დაითესოს. მათ შორის ხორბალი 18.500 ჰექტარზე და ქერი 4.000 ჰექტარზე. აღნიშნული გეგმის შესასრულებლად საჭიროა 36.888 ცენტნერი ხორბლისა და ქერის თესლი, ნამდვილად კი არის 25.551 ცენტნერი — 11.337 ცენტნერით იმაზე ნაკლები, რაც გეგმით არის გათვალისწინებული. თესვის ვადები გადის, მიუხედავად ამისა დანაკლისი თესლის შესაძენად ჯერ ფაქტიურად არაფერია გაკეთებული.

მთელ რიგ კოლმეურნეობებში უხარისხო თესლის ხარისხიან თესლზე გადაცვლა დამთავრებული არ არის. არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს არსებული სათესლე მასალის სარეველებისაგან გაწმენდა და მისი კონდიციამდე დაყვანა. ბევრ კოლმეურნეობას არა აქვს თესლის საწმენდი მანქანები და ჯერ ხელით გაწმენდაც არ დაუწყიათ.

მცხეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე — მრევლიშვილი) 274 ცენტნერი თესლი უნდა გაწმინდოს. ფაქტიურად კი ამ კოლმეურნეობას 1 ოქტომბრისათვის არცერთი ცენტნერი თესლი არ ჰქონდა ლაბორატორიაში შემოწმებული და კონდიციამდე დაყვანილი. თელეთის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე—ლოლიაშვილი) გასაწმენდი აქვს 698 ცენტნერი თესლი, ავჭალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას 147 ცენტნერი, დიღმის კოლმეურნეობებს 500 ცენტნერზე მეტი და სხვ.

რაიონში არსებული 25.551 ცენტნერ თესლიდან გაწმენდილია და თესლის საკონტროლო ლაბორატორიაში შესამოწმებლად გაგზავნილია 19.341 ცენტნერი. აქედან ვარგისი აღმოჩნდა 13.278 ცენტნერი, დანარჩენი კი უკონდიციოდ იქნა ცნობილი. კერძოდ, სოფ. დიღმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მიერ ლაბორატორიაში წარდგენილი 250 ცენტნერი თესლი უვარგისი აღმოჩნდა აღმოცენების უნარის უქონლობის გამო.

თბილისის რაიონში არც საშემოდგომო ხვნის გეგმაა შესრულებული, საშემოდგომოდ ანეულის ჩათვლით მოხნულია მხოლოდ 17.757 ჰექტარი. თბილისისა და მცხეთის მტს-ებმა საშემოდგომო ხვნის გეგმა ვერ შეასრულეს. თბილისის მტს-მა (დირექტორი ამხ. მდივნიშვილი) გეგმით გათვალისწინებულ 6.500 ჰექტარის ნაცვლად მოხნა 5.450 ჰექტარი. მცხეთის მტს-ს კი (დირექტორი ქაჯაია) 4300 ჰექტარიდან მოხნული აქვს 3200 ჰექტარი.

გეგმის შეუსრულებლობა გამოწვეულია სატრაქტორო პარკის ცუდი მდგომარეობით და ტრაქტორისტების უყოლობით. მცხეთის მტს-ის მე-13 ბრიგადაში № 17 ტრაქტორი 10 დღეა შესაკეთებელია და დგას. № 13 და № 8 სატრაქტორო ბრიგადებს თითო ტრაქტორისტი აკლიათ, რაც იწვევს ტრაქტორების გაცდენას. ტრაქტორების სათადარიგო ნაწილების უქონლობა ხშირად აფერხებს პირველი და მეხუთე სატრაქტორო ბრიგადების ნორმალურ მუშაობასაც.

საშემოდგომო თესვა თბილისის რაიონში 15 ოქტომბერს უნდა დამთავრდეს. რაიონის მთიან სოფლებში კიდევ უფრო ადრე. თუ არსებული მდგომარეობა დაუყოვნებლივ არ გამოსწორდა, ცხადია ამ დროისათვის თესვის გეგმა არ შესრულდება.

ა. ხუციშვილი.

პირველ ადგილზე საბჭოთა კავშირში

თბილისის საპნის ქარხანამ, სოცშეჯიბრებისა და სტახანოვური მოძრაობის გაშლის საფუძველზე, ნახევარი წლის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. ნაცვლად 1419 ტონისა, გამოუშვა 1467 ტონა საპონი და საბჭოთა კავშირის თერთმეტ მოძმე რესპუბლიკის საპნის ქარხნებს შორის პირველ ადგილზე გამოვიდა.

ქარხანამ გადაჭარბებით შეასრულა აგრეთვე მესამე კვარტალის გეგმა. გეგმით გათვალისწინებულ 540 ტონა საპნის ნაცვლად, გამოშვებულია 621 ტონა, ე. ი. გეგმის 115 პროც.

წინასაოქტომბრო საწარმოო თათბირზე ქარხნის კოლექტივმა იკისრა ვალდებულება, გეგმის გადამეტებით გამოუშვას უმაღლესი ხარისხის სამეურნეო საპონი—400 ტონა, პირველი ხარისხისა—60 ტონა და მეორე ხარისხისა—105 ტონა.

ქარხანამ სოცშეჯიბრებაში გამოიწვია ერევნის საპნის ქარხანა. სოცშეჯიბრება გაიშალა აგრეთვე ცალკეულ სტახანოველებს შორის, რომლებიც პირობას იძლევიან, რომ მოპოვებულ პირველობას შეინარჩუნებენ. (საქდესი).

წლიური გეგმა—ცხრა თვეში

საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ლითონკონსტრუქციების ქარხანამ ნაკისრი ვალდებულება, — შეესრულებინა წლიური გეგმა დიადი ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაულისათვის, ვადამდე—1 ოქტომბრისათვის შეასრულა. ქარხანამ გამოუშვა 3 მილიონი მანეთის პროდუქცია და, ამგვარად, წლიური გეგმა შეასრულა 9 თვეში.

საერთო და სასაქონლო პროდუქციის მოცულობის გეგმის შესრულებასთან ერთად სავსებით მიღწეულია გეგმის საასორტიმენტო და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესრულებაც.

ქარხნის კოლექტივი პირობას იძლევა, რომ წლის დამთავრებამდე დარჩენილი 3 თვის განმავლობაში დამატებით გამოუშვებს 1 მილიონი მანეთის პროდუქციას, ხარისხობრივი მაჩვენებლების კიდევ უფრო გადიდებით.

ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატში

4 ოქტომბერს, საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატში სახკომის ამხ. გ. გორდეზიანის თავმჯდომარეობით შესდგა საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის ყველა ფაბრიკა-ქარხნისა და საწარმოს ხელმძღვანელთა და სტახანოველთა გაფართოებული თათბირი.

თათბირზე განხილულ იქნა წინასაოქტომბრო შეჯიბრებისათვის მზადება და წლიური საწარმოო გეგმების ვადამდე შესრულების საკითხი.

თათბირი მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა სახალხო კომისარმა ამხ. გ. გორდეზიანმა. მოხსენებებით წინასაოქტომბრო შეჯიბრებისათვის აღებულ ვალდებულებებთან დაკავშირებით გამოვიდნენ მთელი რიგი საწარმოებისა და ფაბრიკა-ქარხნების დირექტორები: ბერიაშვილი (სპილენძის სატკეცი ქარხანა), ხითარიშვილი (ლითონის კონსტრუქციათა ქარხნის ინჟინერი), სარქისოვი (კალინინის ქარხნის დირექტორი), ჭავჭანიძე (სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხნის დირექტორი), შაფსონი („რემონტვესტრესტის" მმართველი), ბერიაშვილი (ცელულოიდის ქარხნის დირექტორი), ივანიშვილი (კამოს სახელობის ქარხნის დირექტორი), ამირხანოვი (ქიმკომბინატის სტახანოველი), ტოტივაძე (ნოსირის ქარხნის დირექტორი), აბრამოვი (26 კომისრის სახელობის ქარხნის დირექტორი), ბიჩენკო (ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის დირექტორი), ნიკოლაიშვილი (სამუსიკო ინსტრუმენტების ფაბრიკის დირექტორი) და სხვ.

გამოსული ამხანაგები თავიანთ სიტყვაში პირობას იძლეოდნენ, რომ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 21 წლისთავის აღსანიშნავად ვადამდე, მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულებენ წლიურ საწარმოო გეგმებს.

ამ თათბირმა გამოარკვია ადგილებზე მთელი რიგი ხელისშემშლელი პირობები, მაგალითად ტრანსპორტის სიმცირე, რკინისა და ხე-ტყის მასალის ნაკლებობა და სხვ.

საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემის ყველა ქარხნის, ფაბრიკისა და საწარმოს საამქროებში პირველი ოქტომბრიდან მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა საერთო კრებებზე აიღეს მთელი რიგი ვალდებულებები, რომ გეგმების ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებით შეხვდებიან ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 21 წლისთავს და 7 ნოემბრისათვის წლიურ გეგმას შეასრულებენ 20-დან 50 პროცენტამდე გადაჭარბებით.

სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება სისტემის ყველა ფაბრიკა-ქარხანა და საწარმო. სახალხო კომისარიატის სამმართველოებმა ამ შეჯიბრების უკეთ ჩატარების მიზნით ერთმანეთი გამოიწვიეს სოციალისტურ შეჯიბრებაში, ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელმა ქარხანამ გამოიწვია 26 კომისრის სახელობის ქარხანა და სხვ.

თათბირის მუშაობა შეაჯამა ამხ. გ. გორდეზიანმა. აქვე დასახულ იქნა პრაქტიკული ღონისძიებები თათბირზე გამორკვეული ხელისშემშლელი პირობების ლიკვიდაციისათვის.

ქვანახშირისა და მარგანეცის გამოღება. 4/X

(ტონობით)

	გეგმა	გამოღება	პროც.
ტყიბული	1004	683	68
ტყვარჩელი	544	343	63
ჭიათურა	5552	4275	77

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

პრესის მიმოხილვა

გაზეთი, რომელიც არ ზრუნავს პარტიული საკითხების გაშუქებაზე

„საბჭოთა ოსეთი“

საქ. კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის ოლქკომისა და ცაკის ორგანო

გაზეთი „საბჭოთა ოსეთი“, რომელიც სამხრეთ-ოსეთის ბოლშევიკების პირველი მებრძოლი თანაშემწე უნდა იყოს პარტიული მუშაობის გაუმჯობესების საქმეში, თავის ფურცლებზე გაცილებით მეტ ადგილს უთმობს ხელოვნებისა და ლიტერატურის საკითხებს, ვიდრე პარტიულ ცხოვრებას. ჩვენ სრულიადაც არა ვართ ხელოვნებისა და ლიტერატურის საკითხების გაშუქების წინააღმდეგი, მაგრამ როცა მთავარი ამოცანა დავიწყებულია, როცა ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ცხოვრება მკრთალად და ზერელედ შუქდება, როცა გაზეთი ვერ იძლევა საკმაო წარმოდგენას ოლქის ზრდასა და განვითარებაზე, ამოცანებსა და პერსპექტივებზე, როცა გაზეთი უმთავრესად ცენტრალურ პრესაში გამოქვეყნებული ლიტერატურული და სხვა ხასიათის მასალათა გადაბეჭდვით კმაყოფილდება, ეს ნიშნავს, რომ ამ გაზეთის რედაქცია ცუდად მუშაობს, ეს ნიშნავს, რომ პარტიის საოლქო კომიტეტი არ უწევს თავის გაზეთს საჭირო ხელმძღვანელობას.

პარტიული ცხოვრების განყოფილება ამ გაზეთის ყოველ ნომერში წარმოდგენილია ერთი, იშვიათად ორი ან სამი მასალით. ამ მასალებში კრებებისა და თათბირების ცუდად დაწერილ ანგარიშებს ცენტრალური ადგილი უჭირავთ. ვინ არიან ამ მასალების ავტორები? ამის გამორკვევა ძნელია, რადგან მასალების უდიდეს უმრავლესობას ინიციალები „ამშვენებს“. ორი რამ მაინც აშკარაა: ჯერ ერთი, რომ გაზეთი თავის მუშაობაში არ ემყარება პარტიულ აქტივს, რომ გაზეთი, სიტყვით აღიარებს რა პრესაში მასების აქტიური მონაწილეობის საჭიროებას, საქმით არაფერს აკეთებს პარტორგანიზატორების, პარტკომების მდივნების, პროპაგანდისტების, აგიტატორების, რაიკომის მუშაკების და საერთოდ მთელი პარტიული აქტივის ჩასაბმელად მის მუშაობაში. პარტიული ცხოვრების შესახებ უმთავრესად სწერს ერთი-ორი მუშაკი, რომლებიც, ალბათ იმისათვის, რომ მკითხველს მოაჩვენონ — მასალები სხვადასხვა ავტორების მიერ არის დაწერილიო, ხან „ირას“ აწერენ ამ მასალებს, ხან—„გრიშას“, ხან—„გ. ი.“-ს, ხან შებრუნებით—„ი. გ.“-ს, ხან მარტო „ბ“-ს, ხან კიდევ „ი“-ს და სხვ. მეორე—ეს „სხვადასხვა“ ავტორებიც სწერენ ყოველთვის ერთნაირად, ერთსადაიმავე საკითხებზე, სწერენ ტრაფარეტულად, სწერენ პირველადი პარტორგანიზაციების მუშაობის საფუძვლიანი შესწავლის გარეშე. იშვიათად ნახავთ ამ გაზეთში ისეთ წერილს, რომელიც ერთი რომელიმე პარტორგანიზაციის მუშაობას აშუქებდეს. როგორც წესი, წერილი ეხება ან მთელი რაიონის პარტორგანიზაციების, ან ერთად სამი-ოთხი პირველადი პარტორგანიზაციის მუშაობას. იშვიათად ნახავთ წერილს, რომელიც აშუქებდეს მოწინავე პარტორგანიზაციათა გამოცდილებას, აყენებდეს რაიმე მნიშვნელოვან საკითხს, ეხმარებოდეს ახლად დაწინაურებულ პარტიულ კადრებს მუშაობაში. მომხდარი ფაქტების რეგისტრაცია—აი უმთავრესად რას მისდევს გაზეთი.

თუ როგორ იბრძვის გაზეთი „საბჭოთა ოსეთი“ პარტიის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის, თუ როგორ ეხმარება და ხელმძღვანელობს გაზეთი პარტორგანიზაციებს, ამის შესახებ საკმაო წარმოდგენას იძლევა ორი ფაქტი. პირველი. ჩვენ ვიცით, რომ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილების განხორციელებისათვის მთელს ქვეყანაში და, მაშასადამე, სამხრეთ-ოსეთშიაც პარტორგანიზაციებმა უდიდესი მუშაობა ჩაატარეს. გაზეთ „საბჭოთა ოსეთმა“ ამ საკითხზე მისცა ორი ინფორმაცია—5 და 15 თებერვლის ნომრებში და ერთი მოწინავე სტატია—25 მარტის ნომერში. ამ მასალების ხარისხზე რომ არაფერი ვთქვათ, თვით ფაქტი ორიოდე მასალის დაბეჭდვით დაკმაყოფილებისა მოწმობს რედაქციის სრულიად არასაკმაო მუშაობას იანვრის პლენუმის დადგენილების განხორციელებისათვის, მოწმობს, რამდენად სუსტად ეხმარება გაზეთი სამხრეთ-ოსეთის პარტორგანიზაციებს დაშვებულ შეცდომათა გამოსწორებაში. მეორე ფაქტი. გაზეთი „ს. ო.“ სუსტად, არასაკმაოდ აშუქებდა პარტიული ორგანოების საანგარიშო-საარჩევნო კრებების მიმდინარეობას პირველადს პარტორგანიზაციებში. გაზეთმა მისცა რამდენიმე საანგარიშო-საარჩევნო კრების ანგარიში და ამით დაკმაყოფილდა. მაგრამ უფრო გასაოცარია მეორე გარემოება: თავის 30 მაისის ნომერში გაზეთმა დაბეჭდა მოწინავე სტატია სათაურით: „პარტიული კონფერენციები და ძირეული პრესის მოვალეობა“. ეს მოწინავე სტატია კედლის გაზეთებს მიუთითებს, რომ სისტემატურად გააშუქონ რაიონული პარტიული კონფერენციების მიმდინარეობა. აი რა სწერია ამ მოწინავეში.

„დროა ჩვენი ოლქის ძირეულმა (!—რედ.) კედლის გაზეთებმა გააცხოველონ მუშაობა და სისტემატურად გააშუქონ მასალები, როგორც პარტიული კონფერენციების მიმდინარეობის, ისე საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ“.

ახლა საკითხავია — კედლის გაზეთებს რომ ისეთ ამოცანას უსახავს გაზეთი, რომლის შესრულებაც (მაგალითად, რაიონული კონფერენციების მიმდინარეობის გაშუქება) კედლის გაზეთის ძალებს აღემატება, თვითონ გაზეთმა „ს. ო.“-მ, როგორ გააშუქა რაიონული კონფერენციების მუშაობა? ერთი სტრიქონიც არ დაუბეჭდია ამ საკითხზე.

გარდა ამისა, გაზეთს ჯერჯერობით ერთი წერილიც არ დაუბეჭდია საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის მოკლე კურსის შესწავლისათვის მზადებაზე სამხრეთ-ოსეთის პარტორგანიზაციებში.

აქვე აღსანიშნავია, რომ გაზეთ „ს. ო.“-ში აუარებელი მასალა თავსდება დაუმუშავებლად, გაუსწორებლად, შეცდომებით. ხშირად ამათუიმ წერილის აზრს ვერც კი გაიგებთ. აი, მაგალითად, 24 ივნისის მოწინავე სტატიაში—„ყურადღებით მოვეპყრათ პარტიაში მიღებას“—სწერია:

„5 რეკომენდატორიდან ხელი ჰქონდა მოწერილი ანკეტაზე მხოლოდ ერთ კაცს, რომელთაც კრების დაწყების დროს მოაწერეს ხელი, მაგრამ ამით არ გათავებულა საქმე. რეკომენდატორები, როცა ყველა მივიდა და ჩამოსხდნენ სკამებზე მაშინ მოაგონდა ძირეულ პარტორგანიზაციას, რომ საქ. კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის წარმომადგენელი არ ესწრებოდა, რისთვისაც ძირეულ პარტორგანიზაციას რამოდენიმე დღით ადრე უნდა ეთხოვა საოლქო კომიტეტისათვის, მაგრამ ასეთი არ გააკეთა, რის გამოც მიღების საქმე გადაიდო“.

ან კიდევ:

„აი მაგალითად რეკომენდაციის ფურცლებზე, რომლებსაც ვ. კაბისოვი ამზადებდა პარტიაში შესასვლელად... **Потому рекомендую тов... принят кандидатов КП (б) Гр.,**“ რასაც დაჟინებით ამტკიცებდა რაიკომის მდივანი რ. ლაზარაშვილი, რომ „იგი გრამატიკული შეცდომაა და მისაღებიაო“ (№ 16).

ბევრი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ ესეც კმარა იმის ნათელსაყოფად, რომ რედაქცია არასერიოზულად მუშაობს წერილებზე, რომ ამის გამო გაზეთში აუარებელი შეცდომებია.

ამ ნაკლოვანებათა მთავარი მიზეზია საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის ოლქკომის არასაკმაო დაინტერესება თავისი გაზეთით, ოლქკომის მხრივ სუსტი ხელმძღვანელობა გაზეთზე. მაშასადამე, იმისათვის, რომ გაზეთი „საბჭოთა ოსეთი“ სამხრეთ-ოსეთის ბოლშევიკების საყვარელ მებრძოლ ორგანოდ გადაიქცეს, საჭიროა პარტიის საოლქო კომიტეტის ყოველდღიური ხელმძღვანელობა და დახმარება და რედაქციის განმტკიცება კადრებით.

კომუნისტები იზრდებიან პრაქტიკულ სამუშაოზე

თბილისის ტრამვაის მეურნეობის მოძრაობის დარგის პარტორგანიზაციას, რომელიც 107 კაცს აერთიანებს, კომუნისტების მიერ პარტდავალებათა შესრულების საქმეში აქვს მუშაობის ერთგვარი გამოცდილება.

ცალკეულ კომუნისტებზე დავალებათა განაწილების დროს ჩვენ წინასწარ გათვალისწინებული გვქონდა თვითეული მათგანის უნარი და შესაძლებლობა. დავალებები გავანაწილეთ ცოდნის, უნარისა და გამოცდილების მიხედვით. პარტიის წევრებისადმი ასეთმა მიდგომამ კარგი შედეგი მოგვცა. მაგალითად, ამხ. დომენტი შუკაკიძე 1932 წლიდან არის პარტიის წევრი. წინათ მას დავალებული ჰქონდა პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრის მამასახლისობა. ამ დავალებას იგი კარგად ასრულებდა, წრეშიც დამაკმაყოფილებლად მეცადინეობდა, მაგრამ მის შემდგომ დაწინაურებაზე მთელი წლების განმავლობაში არავის უფიქრნია, შარშან ის დავაწინაურეთ აგიტატორად და რამდენიმე ერთდროული პარტიული დავალებაც მივეცით, ასეთი დავალება ამხ. შუკაკიძემ სიხარულით მიიღო და შეუდგა მის შესრულებას.

აი კიდევ მეორე საინტერესო მაგალითი. ამხ. აკაკი პირტახია ახლა მეორე რაიონის უფროსის თანაშემწე და პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრის პროპაგანდისტია.

ამხ. პირტახია პარტიულმა ორგანიზაციამ აღზარდა. იგი პირველად კონდუქტორად მუშაობდა და პარტიულ და სამეურნეო საკითხებში ვერ ერკვეოდა. მაგრამ პარტორგანიზაციამ ის ჩააბა პოლიტსკოლაში, ტექნიკის დაუფლების წრეში, შემდეგ პარტიის ისტორიის შემსწავლელ წრეში. ჩვენი დახმარებით მან საგრძნობ წარმატებებს მიაღწია. ამხ. პირტახია დაეუფლა სამეურნეო საკითხებს. იგი ადმინისტრაციამ კონტროლიორად დანიშნა, ხოლო ჩვენ აგიტატორად გამოვყავით. შემოწმებამ გვიჩვენა, რომ იგი ამ დავალებას პირნათლად ასრულებს. ახლა იგი საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი წრის პროპაგანდისტია.

ამხ. ვლ. სლატინსკი ტრამვაის მეურნეობაში დისპეტჩერად მუშაობს. პარტორგანიზაციამ მას მუშათა საერთო საცხოვრებელში აგიტატორობა დაავალა. შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ამხ. ვლ. სლატინსკი პარტიულ დავალებას არადამაკმაყოფილებლად ასრულებდა. იგი სისტემატურად არ ატარებდა აგიტაციას. ჩვენ მას ამაზე მივუთითეთ და ახლა იგი ამ ნაკლს ასწორებს.

გარდა სააგიტაციო და პროპაგანდისტული მუშაობისა, კომუნისტებს დავალებული აქვთ პარტიის რეზერვთან მუშაობა. ასე, მაგალითად, ამხ. ალ. მოდებაძე მიმაგრებულია 6 თანამგრძნობზე. ამ თანამგრძნობებს ის უნდა დაეხმაროს პარტიის წესდებისა და პროგრამის შესწავლაში, მაგრამ, როგორც შემოწმებამ გვიჩვენა, ამხ. მოდებაძე თანამგრძნობებთან არადამაკმაყოფილებლად მუშაობდა. ამხ. მოდებაძეს მივეცით მითითებანი იმის შესახებ, რომ სისტემატურად აწარმოოს თანამგრძნობთა ჯგუფის მეცადინეობა, შეასწავლოს თანამგრძნობებს ლენინ-სტალინის პარტიის წესდება და პროგრამა, და მოამზადოს ისინი პარტიაში შესასვლელად.

პარტიაში ახლად მიღებულებსაც ვაძლევთ დავალებას, ვაჩვევთ მათ პარტიულ მუშაობას და ხელს ვუწყობთ ბოლშევიზმის დაუფლებაში.

ამხ. ალ. დედანიშვილი მიმდინარე წელს მივიღეთ პარტიის წევრობის კანდიდატად. მას წინათ კომკავშირის ხაზით ჰქონდა სხვადასხვა დავალებანი. ახლა იგი დაწყებითი პოლიტსკოლის პროპაგანდისტად დავაწინაურეთ და აქაც კარგად მუშაობს.

დავალებათა შესრულებას ჩვენ სისტემატურად ვამოწმებთ, რამაც დადებითი ნაყოფი გამოიღო.

ვლ. შუბლაძე.

ტრამვაის მეურნეობის მოძრაობის დარგის პარტორგანიზატორი



საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის პარტკაბინეტში მოწყობილია გამოფენა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ მასალების შესახებ.

სურათზე: პროპაგანდისტები ნ. ა. დანიელოვა და ა. მ. ოსიპოვი ეცნობიან რეკომენდებულ ლიტერატურას.

ფოტო ო. ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

საარმიო პარტაქტივის მეცადინეობა

ბათუმი, (საქტასი). № ერთეულის ხელმძღვანელობამ ფართოდ გაშალა მოსამზადებელი მუშაობა პარტიის ისტორიის შესასწავლად. 3 ოქტომბერს დაიწყო პროპაგანდისტთა, პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზატორთა, კომისართა, პოლიტმუშაკთა და მეთაურთა ათდღიანი სემინარის მეცადინეობა.

მოეწყო საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის ახალი სახელმძღვანელოს ცალკეულ თავებთან დაკავშირებული მასალის გამოფენა. მეცადინეობის დაწყების წინ კომუნისტები ყურადღებით გაეცნენ გამოფენის მასალას.

გაკვეთილი დაიწყო. ხარბად ეწაფებიან ლექციებს ბოლშევიკი პროპაგანდისტები—ბოლშევიზმის იდეათა გამავრცელებელნი, ფართო პარტიული მასების აღმზრდელნი. შესვენების დროს მსმენელები კიდევ და კიდევ ათვალიერებენ გამოფენის უძვირფასეს დოკუმენტებს ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ისტორიიდან. სემინარის მეცადინეობა ექვს ჯგუფში მიმდინარეობს: პირველი ლექციები მიძღვნილი აქვს საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის მნიშვნელობის შესახებ „პრავდის“ მასალების შესწავლის საკითხებს, რის შემდეგაც მსმენელები ახალი სახელმძღვანელოს პირველი თავის ღრმად შესწავლას შეუდგებიან. სემინარში ჩატარდება დამატებითი ლექციები შემდეგ თემებზე: „1861 წლის საგლეხო რეფორმა“, „80-იანი წლების პოლიტიკური რეაქცია“ და „XIX საუკუნის დამლევისა და XX საუკუნის დამდეგის რუსეთის ეკონომიკა“. ლექციებს წაიკითხავს მოსკოვის სამხედრო სასწავლებლის მასწავლებელი ამხ. რეპინი.

როგორ ვემზადები

ახლა ჩემი, როგორც დანარჩენი პროპაგანდისტების ყურადღება და მუშაობა, წარმართულია იქითკენ, რომ რაც შეიძლება ღრმად შევისწავლო საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი და მომზადებული წარვსდგე მსმენელების წინაშე; ეს კი პროპაგანდისტის მხრივ დიდ მუშაობას მოითხოვს.

მე ვხელმძღვანელობ საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელ წრეს, ლითონ-კონსტრუქციის ქარხანაში, წრეში 10 მსმენელია. ათივეს მომზადების დონე თითქმის ერთნაირია და წრის გადაკომპლექტება არ მომიხდება. პირველყოვლისა მსმენელებს ვაცნობ ისტორიის მოკლე კურსს, ვუკითხავ მათ მასალას, იქვე ვაძლევ შეკითხვებზე პასუხს, იმ შეკითხვებს კი, რომლებიც ჩემთვისაც გაუგებარია, ვინიშნავ. ამავე დროს სერიოზულად, ფანქრით ხელში, მე თითონ ვკითხულობ საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს, დავდივარ აგრეთვე რაიკომის მიერ მოწყობილ კურსებზე, ამავე დროს ვსარგებლობ საკუთარი ბიბლიოთეკით, რომელშიც მაქვს ლენინის თხზულებათა ყველა ტომი, სტალინის ყველა ნაშრომი, „პრავდის“ ნომრები, რომლებიც ძლიერ მეხმარება საკითხების გარკვევაში და მუშაობის ორგანიზაციულად დაწყებაში.

თვალსაჩინო ახსნა-განმარტებისათვის ქარხანაში დიაგრამებისა და რუკების მხოლოდ ერთი კომპლექტი გვაქვს, ხოლო საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შემსწავლელი წრე ქარხანაში 4 იქნება, რაც პარტორგანიზაციამ მხედველობაში უნდა მიიღოს.

ი. მიკირტუმოვი.

პროპაგანდისტი

ზაქარია ფალიაშვილი

(1872 — 1933)

(გარდაცვალებიდან 5 წლისთავის გამო)

5 წლის წინათ გარდაიცვალა რესპუბლიკის სახალხო არტისტი — კომპოზიტორი ზაქარია პეტრეს-ძე ფალიაშვილი, რომელიც სამართლიანად მიჩნეულია ქართული საოპერო ხელოვნების ერთერთ ფუძემდებლად.

სახალხო არტისტის საპატიო სახელწოდება ზ. ფალიაშვილს მიანიჭა საბჭოთა ხელისუფლებამ 1925 წელს მეტად ნაყოფიერი და უაღრესად სასარგებლო მუსიკალური, საკომპოზიტორო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის.

სახელგანთქმული ტანეევის საკომპოზიციო კლასით მოსკოვის კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ ზ. ფალიაშვილი ბრუნდება სამშობლოში 1903 წელს და იწყებს მასწავლებლობას თბილისის სამუსიკო სასწავლებელში (ეს სასწავლებელი კლენოვსკის კლასით მან დაამთავრა 1899-1900 სასწავლო წელს). აქ იგი ასწავლის მუსიკის ელემენტარულ თეორიას, სოლფეჯიოს და ჰარმონიას. იმავე დროს ზაქ. ფალიაშვილი მუშაობს მუსიკის მასწავლებლად თბილისის ქართულ გიმნაზიაში.

ამ ფაქტს, რომელსაც რატომღაც გვერდს უვლიან ჩვენი კომპოზიტორის ბიოგრაფები, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფალიაშვილის შემდგომი მოღვაწეობისათვის. თბილისის სამუსიკო სასწავლებელი რუსეთის საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოების პირმშო იყო და მას მიზნად მხოლოდ რუსული მუსიკის დანერგვა ჰქონდა დასახული. აქ ნაციონალური შემოქმედების ხსენებაც კი არ იყო. ნაციონალური კულტურისათვის მხოლოდ ქართული საზოგადოებრივი დაწესებულებანი — ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოება, დრამატიული საზოგადოება, ისტორიო-ეთნოგრაფიული საზოგადოება, ქართული გიმნაზია და შემდეგ ზაქარიას უშუალო და აქტიური მონაწილეობით 1918 წელს შექმნილი ფილარმონიული საზოგადოება — თუ ზრუნავდნენ. ყველა ამ საზოგადოებებში XIX საუკუნის დიდი ქართველის ილია ჭავჭავაძის სული და ხელი ტრიალებდა. საზოგადოებრივი სულისკვეთებით გაღვენთილი ქართველი ინტელიგენციის ნაწილი ცდილობდა ეს ფრონტი გაემაგრებინა და მათ შორის ქართული გიმნაზიის მასწავლებელთა ღვაწლი თვალსაჩინო იყო. კერძოდ, განსაკუთრებით აღსანიშნავია ცნობილი პედაგოგისა და მწიგნობარის პ. მირიანაშვილის ღვაწლი ამ მიმართულებით, რომელსაც ეკუთვნის ზაქ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერის“ ლიბრეტო.

ამ წრის ზეგავლენით ზაქ. ფალიაშვილი შეუდგა ქართული ხალხური მუსიკის შესწავლას და მისი საუნჯის შეკრებას, რასაც იგი სისტემატურად ეწეოდა ზაფხულობით რამდენიმე წლის განმავლობაში. ამ მუშაობის უშუალო შედეგი იყო 300-მდე ხალხური სიმღერა-საგალობელის ფონოგრაფიული ჩაწერა და შემდეგ სახალხო სიმღერა-საგალობელთა 3 კრებულის გამოცემა.

ამ მუშაობას მეორე მნიშვნელობაც ჰქონდა. იგი ზაქ. ფალიაშვილისთვის ნამდვილ აკადემიად იქცა. ჩვენი კომპოზიტორი ხალხის მიერ საუკუნეობით შექმნილ-შენახული და დახვეწილი სიმღერების საგანძურის მესაიდუმლე გახდა. სწორედ ამან შეაძლებინა ზ. ფალიაშვილს შექმნა მსოფლიო შედევრი — „აბესალომ და ეთერის“ სახით. ამას ზაქარია თვითონაც კარგად გრძნობდა და თავის შემოქმედებაში ამ ოპერას განსაკუთრებულ ადგილს აკუთვნებდა. მართლაც, ხალხის გენია და კომპოზიტორის ნიჭიერება აქ ისეა გადაჯაჭვული, რომ იგი პირველხარისხოვან ნაწარმოებს წარმოადგენს. 1937 წლის იანვარში მოსკოვში ჩატარებულმა ქართული მუსიკის დეკადამ ცხადჰყო და საბოლოოდ დაამკვიდრა ის შეხედულება, რომ ხსენებული ნაწარმოები თამამად შეიძლება დავუყენოთ გვერდში მსოფლიოს მუსიკალურ შედევრებს.

სიუჟეტით „ტრისტან და იზოლდას“ ცნობილი თქმულების მონათესავე „აბესალომ და ეთერი“ საქართველოს წარმართობის ხანის ძეგლია და არა XII საუკუნისა, როგორც ეს უკანასკნელი დადგმის ავტორებს ჰგონიათ. ოპტიმისტური, ნათელი რომანტიზმის იერით დაფერილი, მაგრამ იმავე დროს რეალისტური მუსიკალური დრამა „აბესალომ და ეთერი“ მსოფლიო მუსიკალურ-ვოკალური ლიტერატურის უმშვენიერეს სამკაულს წარმოადგენს.

მეფისწულის აბესალომისა და ობოლი გლეხის ქალის ეთერის ტრფობა, რომელიც მურმანის ბოროტი გენიის წყალობით ტრაგიკული ფინალით დაგვირგვინდა, ერთსა და იმავე დროს ხალხური ფილოსოფიის—კეთილ და ბოროტ საწყისთა შორის ბრძოლის — ნიმუში და ძველი სოციალური უკუღმართობის ანარეკლია. უმშვენიერეს მეფისწულსაც კი არ შეეძლო ბედნიერება მიენიჭებინა გლეხის ქალისათვის, თუნდაც ეს ქალი მას თავდავიწყებით შუყვარებოდა — ასეთია ხალხური სიბრძნე, ჩაქსოვილი ამ ლეგენდაში.

ზ. ფალიაშვილის დიდი დამსახურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი სათუთად მიუდგა ხალხურ გენიალურ ქმნილებას, დაიცვა ხალხის იდეა ამ ოპერაში და თითქმის ხელუხლებლად შეიტანა თავის ნაწარმოებში საუკუნეობით ცემენტირებული შედევრები (აბესალომისა და მურმანის დუეტი „ამაღამდელო ღამეო“, „ჩაკრულო“ და სხვ.), რაც სრულებით არ ამცირებს ფალიაშვილის ღირსებას და დამსახურებას.

უფრო დამოუკიდებელი კომპოზიტორული შემოქმედების ნაყოფია ფალიაშვილის მეორე ოპერა „დაისი“ (ლიბრეტო — ვალ. გუნიასი, პირველად 1924 წელს დაიდგა), თუმცა ისიც ხალხურ შემოქმედებაზე ემყარება.

თუ „აბესალომი“ გაშლილი, მონუმენტალური ტრაგიკული ორატორიაა, „დაისი“ ლირიული დრამაა, კოხტა და კეკლუცი, სევდით დაფერილი. მუსიკალური ტექნიკის მხრით იგი უფრო სრულყოფილია, მაგრამ სიდიადით „აბესალომს“ ვერ შეედრება.

ზ. ფალიაშვილის მესამე ოპერა არის „ლატავრა“. ეს ყალბ რომანტიულ პატრიოტობაზეა აგებული და ლიტერატურულადაც და მუსიკალურადაც ჩამორჩება როგორც „აბესალომს“, ისე „დაისს“.

ზ. ფალიაშვილის დიდ კომპოზიტორად აღიარებისთვის მარტო მისი ორი პირველი ოპერაც კმარა.

ოპერებისა და ხალხურ სიმღერათა კრებულის გარდა ზ. ფალიაშვილმა მოგვცა მთელი რიგი მაღალხარისხოვანი რომანსები. მასვე ეკუთვნის „კანტატა“ — ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავისათვის — შერეული ტიპის სიმფონიური ნაწარმოები სიმფონიური და სამხედრო ორკესტრების, შერეული გუნდისა და სოლისტებისთვის. ამ ნაწარმოებში კონტრაპუნქტულად გადახლართულია ორი რევოლუციური თემა — ინტერნაციონალისა და მარსელიეზასი ორგანიულად მთლიანი სიუიტის სახით.

ამას გარდა მასვე ეკუთვნის 5 ნაწილისაგან შემდგარი ქართული სიუიტა სიმფონიური ორკესტრისათვის.

როგორც პედაგოგი, ზ. ფალიაშვილი ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა. გარდა ზემოთ დასახელებული დაწესებულებებისა, მას ვხვდებით თბილისის კონსერვატორიაში მისი დაარსების დღიდან, სადაც ის მუშაობს როგორც პროფესორი და ხელმძღვანელი (რექტორი). საზოგადოებრივი მუშაობის ხაზით ზ. ფალიაშვილი მუდამ აქტიური მონაწილე იყო წამოწყებების კულტურულ ფრონტზე.

ზ. ფალიაშვილმა პირნათლად შეიტანა თავისი წვლილი იმ ეროვნულ-რევოლუციური მოძრაობის შემზადებაში, რომელსაც ქართველი ხალხის საუკეთესო ნაწილი აწარმოებდა მეცხრამეტე საუკუნის ბოლო წლებსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში. ზაქარია პატიოსნად და თავდადებით თანამშრომლობდა საბჭოთა ხელისუფლებასთან, რომელმაც ღირსეულად დააფასა მისი ღვაწლი როგორც სიცოცხლის დროს, ისე სიკვდილის შემდეგ. ზ. ფალიაშვილის სახელი მიაკუთვნა თბილისის ლენინის ორდენოსან საოპერო თეატრს.

ზ. ფალიაშვილის ხსოვნის პატივისცემა და ჩვენი სოციალისტური კულტურის ინტერესი მოითხოვს რაც შეიძლება დაჩქარებით დაიბეჭდოს მისი ოპერები და მასთან ერთად დაიწეროს და გამოქვეყნდეს მისი შემოქმედების სრული აღწერა და დახასიათება, რომ ამით ჩვენი მზარდი სოციალისტური მუსიკალური კულტურა კიდევ უფრო დიდ მწვერვალებს დაეუფლოს.

აკ. ფალავა

მ. მიტინი

დიალექტიკური მატერიალიზმი — მარქსისტულ-ლენინური პარტიის მსოფლმხედველობა*)

იცავს და ანვითარებს რა ტროცკისტ-ბუხარინელ ქვეწარმავლებთან ბრძოლაში ლენინურ მოძღვრებას ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ, ამხანაგი სტალინი დიალექტიკური მატერიალიზმის მეთოდს ბრწყინვალედ უფარდებს კლასობრივი ბრძოლისა და სოციალიზმის მშენებლობის საკითხთა მთელ ჯამს. დიალექტიკის კლასიკურ ნიმუშებს წარმოადგენს სტალინური დამუშავება საკითხებისა კაპიტალიზმის განვითარების უთანაბრობის კანონის შესახებ, ნეპის წინააღმდეგობრივი ორმაგი ბუნების შესახებ, კოლმეურნეობათა კლასობრივი ბუნების შესახებ და სხვ. ამხანაგმა სტალინმა მთლიანად გაანადგურა, ქვა ქვაზე არ დასტოვა წონასწორობის ბურჟუაზიული მექანისტური თეორიისაგან, რომლის დაპირისპირებას დიალექტიკური მატერიალიზმისათვის ცდილობდა გამცემი და ლენინიზმის მტერი ბუხარინი.

მთელი მარქსისტულ-ლენინური თეორიისათვის, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შემდგომი განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმ მითითებებს, რომლებიც ამხანაგმა სტალინმა მოგვცა 1930 წლის დამლევს მომენშევიკო იდეალისტებთან და მექანისტებთან, დიალექტიკური მატერიალიზმისადმი ფარული, ლეჩაქაფარებული ღალატის ორ სახესთან ბრძოლის საკითხში.

II

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მეოთხე თავში არის სპეციალური განყოფილება სახელწოდებით „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი“. სახელმძღვანელოს ეს პატარა განყოფილება, რომელიც გადმოცემულია სტალინური სიღრმითა და სიცხადით, შედის მარქსისტული თეორიის საგანძურში, კ. მარქსის „კაპიტალთან“, ენგელსის „ანტი-დიურინგთან“ და ლენინის „მატერიალიზმთან და ემპირიოკრიტიციზმთან“ ერთად, როგორც ამ გენიალური შრომების პირდაპირი გაგრძელება.

აქ მოცემულია დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი საკითხების კონკრეტიზაცია და განვითარება. კლასიკური გარკვეულობით ნაჩვენებია, რომ ჩვენს ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას დიალექტიკური მატერიალიზმი ეწოდება იმიტომ, რომ მისი მიდგომა ბუნების მოვლენებისადმი, ამ მოვლენათა შემეცნების მეთოდი—დიალექტიკურია, ხოლო მის მიერ ბუნების მოვლენათა ახსნა-განმარტება, მისი თეორია მატერიალისტურია. დიალექტიკური მატერიალიზმის, როგორც მარქსისტულ-ლენინური პარტიის მსოფლმხედველობის, უკვე თვით განსაზღვრა წარმოადგენს მარქსიზმის ფილოსოფიის დახასიათების კონკრეტიზაციას და შემდგომ განვითარებას. მოძღვრებაში პარტიის ისტორიის შესახებ განსაკუთრებული სიძლიერით განვითარებულია შინაგანი კავშირი, რომელიც არსებობს მარქსიზმის ფილოსოფიასა და პრაქტიკულ რევოლუციურ მოღვაწეობას შორის, გამორკვეულია, თუ დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის ძირითადი ნიშნების სწორად გადაჭრა და გაგება როგორ წარმოადგენს კლასობრივი ბრძოლის პრაქტიკული, პოლიტიკური საკითხების სწორად და უშეცდომოდ გადაჭრის პირობას. დიალექტიკური მატერიალიზმის მეთოდი გადმოცემულია არა დასრულებული და გაყინული ფორმულების სახით, არამედ ცოცხალი, რევოლუციური, განვითარების პროცესში მყოფი მოძღვრების სახით.

ლაპარაკობს რა დიალექტიკური მატერიალიზმის ისტორიული წარმოშობის შესახებ, საკ. კ. პ. (ბ) ისტორია გვიჩვენებს, რომ მარქსმა და ენგელსმა ჰეგელის დიალექტიკიდან აიღეს მხოლოდ მისი „რაციონალური მარცვალი“ და, უკუაგდეს რა ჰეგელის იდეალიზმი, განავითარეს დიალექტიკა მატერიალისტურ საფუძველზე. მარქსისა და ენგელსის დიალექტიკა,—ხაზგასმით არის აღნიშნული მოძღვრებაში პარტიის ისტორიის შესახებ, — სრულებითაც არ არის იგივე, რაც ჰეგელის დიალექტიკა.

სწორედ ასევე უაღრესად სრული სიცხადით ირკვევა მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმის დამოკიდებულება ფეიერბახის მატერიალიზმისადმი. მარქსმა და ენგელსმა ფეიერბახის მატერიალიზმიდან აიღეს მისი „ძირითადი მარცვალი“, უკუაგდეს მისი ნაკლოვანებანი და შეზღუდულობა, მისი იდეალისტური და რელიგიურ-ეთიკური დანაშრევები. ეს დებულებები ერთხელ კიდევ გამანადგურებელ ლახვარს სცემენ მარქსიზმის მექანისტურ და მენშევიკურ-იდეალისტურ დამახინჯებებს. მარქსიზმის სწორედ ეს დამმახინჯებლები ხომ ჰეგელის დიალექტიკას აიგივებდნენ მარქსის დიალექტიკასთან და ფეიერბახის მატერიალიზმს მარქსისა და ენგელსის მატერიალიზმთან.

მოძღვრებაში პარტიის ისტორიის შესახებ ნაჩვენებია, რომ დიალექტიკური მეთოდი წარმოადგენს სინამდვილისადმი მეტაფიზიკური მიდგომის პირდაპირ წინააღმდეგობას. დიალექტიკური მეთოდი განიხილავს ბუნებას, ისტორიას არა როგორც ცალკეული, შემთხვევითი, ერთმანეთთან დაუკავშირებელი საგნებისა და მოვლენების ჯამს. დიალექტიკური მეთოდი ჩვენი გარემომცველი სამყაროს ყველა მოვლენებს განიხილავს მათ ურთიერთ კავშირში, ურთიერთ გადაბმულობაში, ურთიერთ მოქმედებაში. სინამდვილისადმი მიდგომის დიალექტიკური მეთოდი ნიშნავს, როგორც ეს საუცხოოდ არის ნაჩვენები მოძღვრებაში პარტიის ისტორიის შესახებ ბუნებისა და ისტორიის განხილვას მათ განვითარებაში, „სადაც მუდამ რაღაც წარმოიშვება და ვითარდება, რაღაც ინგრევა და დრომოჭმული ხდება“.

შემდეგ, დიალექტიკური მეთოდს თვით განვითარების პროცესი, ზრდის პროცესი ესმის არა როგორც უბრალო რიცხვობრივი შეცვლა, არამედ როგორც ისეთი პროცესი, რომლის დროსაც შეუმჩნეველი და უმნიშვნელო რიცხვობრივი ცვლილებანი იწვევენ „რადიკალურ ცვლილებებს, თვისობრივ ცვლილებებს, სადაც თვისობრივი ცვლილებანი თანდათანობით კი არ იწყება, არამედ სწრაფად, უეცრად, ერთი მდგომარეობიდან მეორე მდგომარეობაზე ნახტომისებური გადასვლის სახით, იწყება არა შემთხვევით, არამედ კანონზომიერად, იწყება შეუმჩნეველი და თანდათანობითი რიცხვობრივი ცვლილებების დაგროვების შედეგად“. ბოლოს დიალექტიკური მეთოდი ნიშნავს სინამდვილის განხილვას მასში მოქცეულ წინააღმდეგობათა თვალსაზრისით, დაპირისპირებათა ბრძოლის თვალსაზრისით.

დიალექტიკური მეთოდის ერთერთ უმნიშვნელოვანეს მოთხოვნას წარმოადგენს კონკრეტულობის, ყოველი საკითხის გადაჭრისადმი ისტორიული მიდგომის მოთხოვნა. უნდა შევეძლოს გარჩევა იმ წინააღმდეგობათა ტიპებისა და ხასიათისა, რომლებსაც ადგილი აქვს, იმ ნახტომისებური ცვლილებების ტიპებისა, რომლებიც ხდება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ერთია, მაგალითად, იმ წინააღმდეგობათა ხასიათი, რომლებიც ახასიათებს წარმოების ანტაგონისტურ ბურჟუაზიულ ხერხს და რომლებსაც ეს საზოგადოება გარდუვალად მიჰყავთ დაღუპვისაკენ. მეორეა — იმ წინააღმდეგობათა ხასიათი, რომლებსაც ადგილი აქვს პროლეტარიული დიქტატურის ეპოქაში. სრულიად ბუნებრივია, რომ პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში, როდესაც ძირითადი წინააღმდეგობა კაპიტალიზმის საწარმოო ძალებსა და საწარმოო ურთიერთობას შორის გადაჭრილია, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების თვით ხასიათი და ტიპი სულ სხვანაირია.

ავიღოთ, მაგალითად, მრავალმილიონიანი გლეხური მასების გადასვლა მსხვილი, კოლექტივიზებული სოციალისტური მეურნეობის გზაზე. ამ გადასვლის მნიშვნელობა მოძღვრებაში პარტიის ისტორიის შესახებ ეტოლება ნამდვილ რევოლუციას. ეს განსაკუთრებული ტიპის რევოლუციაა, რევოლუცია, რომელიც ხდებოდა პროლეტარიატის ბატონობის პირობებში, მუშათა კლასისა და გლეხობის უფართოესი მასების კავშირის პირობებში. ეს რევოლუცია ხასიათდება შემდეგნაირად:

„ეს იყო უღრმესი რევოლუციური გადატრიალება, საზოგადოების ძველი თვისობრივი მდგომარეობიდან ახალ თვისობრივ მდგომარეობაში გადახტომა, რომელიც თავისი შედეგებით 1917 წლის ოქტომბერში მომხდარი რევოლუციური გადატრიალების თანაბარი მნიშვნელობისა იყო.

ამ რევოლუციის თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ იგი მოხდენილ იქნა **ზემოდან**, სახელმწიფო ხელისუფლების ინიციატივით, პირდაპირი მხარდაჭერით **ქვემოდან** გლეხთა მილიონიანი მასების მხრივ, რომელნიც იბრძოდნენ კულაკური კაბალის წინააღმდეგ, თავისუფალი საკოლმეურნეო ცხოვრებისათვის“.

სრულიად განსაკუთრებულ სიმდიდრეს წარმოადგენს საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის განყოფილება, რომელიც მიძღვნილია ისტორიული მატერიალიზმის საკითხებისადმი. ისტორიული მატერიალიზმის ძირითადი და მთავარი დებულება ამბობს: „საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს საზოგადოებრივ ცნობიერებას“. მარქსიზმის ვულგარიზატორები ჯერ კიდევ მარქსისა და ენგელსის სიცოცხლეში ცდილობდნენ დაემახინჯებინათ ეს დებულება იმ აზრით, რომ სრულიად უარჰყოფდნენ იდეების როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ენგელსი იძულებულიც კი გახდა სპეციალურად გამიჯნოდა ისტორიის მატერიალისტური გაგების ასეთ „მეგობრებს“.

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის სტალინური კურსი, ანვითარებს რა მარქსის, ენგელსის, ლენინის აზრებს ამ საკითხში, ცხადჰყოფს ყოველგვარი საზოგადოებრივი იდეების წარმოშობის მატერიალურ ფესვს, მატერიალურ წყაროს და ამასთან ერთად გვიჩვენებს იდეების მთელ უდიდეს მნიშვნელობას საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში.

მარქს-ენგელსის მეცნიერულ კომუნიზმს, როგორც პროლეტარიატის იდეოლოგიას, შეეძლო აღმოცენებულიყო XIX საუკუნის შუახანებში, როდესაც ამისათვის შექმნილი იყო მატერიალური პირობები, როდესაც ევროპის უდიდეს ქვეყნებში პროლეტარიატი გამოდიოდა უკვე როგორც დიდი პოლიტიკური ძალა. თავის მხრივ მეცნიერული კომუნიზმის აღმოცენებამ კოლოსალური დამრაზმავი და მაორგანიზებელი როლი შეასრულა მუშათა მოძრაობის მთელ შემდგომ განვითარებაში.

„ეკონომისტებისა“ და მენშევიკების დაცემა, სხვათა შორის, იმით აიხსნება, რომ ისინი, ვარდებოდნენ რა ვულგარულ მატერიალიზმში, არ სცნობდნენ მოწინავე თეორიის დამრაზმავსა და მაორგანიზებელ როლს.

„მარქსიზმ-ლენინიზმის ძალა და ცხოველმყოფელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ეყრდნობა მოწინავე თეორიას, რომელიც სწორად ასახავს საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების საჭიროებებს, აჰყავს თეორია მის შესაფერ სიმაღლეზე და თავის მოვალეობად სთვლის ბოლომდე გამოიყენოს მისი დამრაზმავი, მაორგანიზებელი და გარდამქმნელი ძალა“ (საკ. კ. პ. (ბ) ისტორია).

სწორედ ასევე ისტორიული მატერიალიზმის სხვა საკითხებმაც—წარმოების წესის შესახებ, საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობების შესახებ, საწარმოო ძალებისა და საწარმოო ურთიერთობის შესახებ—ჰპოვეს მოძღვრებაში პარტიის ისტორიაზე თავისი კლასიკური გადმოცემა და განვითარება ახალი ეპოქის, დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე სოციალიზმის გამარჯვების ეპოქის პირობებში.

თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფია იმყოფება სრული იდეური გახრწნისა და დაცემის მდგომარეობაში. ფაშისტი ბანდიტების „იდეოლოგია“ და „მსოფლმხედველობა“ მეტად მარტივია. მეცნიერული ცოდნის საფუძვლებისათვის ძირის გამოთხრა, ადამიანის გონების სრული დისკრედიტაცია, მეცნიერების ნაცვლად მითოლოგია, გონების ნაცვლად მისტიკური ჭვრეტა, რასიული და ნაციონალური შოვინიზმი—ასეთია თანამედროვე მოფილოსოფოსე ფაშისტი ბანდიტების არსენალი. ეს „იდეური“ არსენალი სავსებით შეესაბამება ფაშიზმის მხეცურ პრაქტიკას.

ასეთი ბებრული მარაზმისა და დაშლის წინაშე, ბურჟუაზიული კულტურის სრული იდეური ხრწნისა და ლპობის წინაშე ძლიერ კლდესავით აღმართულია, კაშკაშა მზესავით ანათებს ყველაზე მოწინავე, ყველაზე თანმიმდევრული მსოფლმხედველობა, როგორიც კი შეუქმნია ადამიანის გენიას, — დიალექტიკური მატერიალიზმის მსოფლმხედველობა, ლენინ-სტალინის კომუნისტური პარტიის მსოფლმხედველობა.

* * *

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის დასკვნა, რომელიც ჯამს უკეთებს კომუნისტური პარტიის მთელ გიგანტურ გზას, ეკუთვნის ყველაზე დაუვიწყარ ფურცლებს, კლასიკური მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურის ფურცლებს. აქ უდიდესი ძალით დახასიათებულია შემოქმედებითი მარქსიზმის დედაარსი, რომლის მატარებელია და ხორცშესხმაა ბოლშევიკური პარტია.

მარქსიზმის გაგება, როგორც ყველაზე შემოქმედებითი, ყველაზე ქმედითი მოძღვრებისა წითელ ზოლად გატარებულია ამხანაგი სტალინის ყველა ნაშრომში, მის მთელ მოღვაწეობაში. ამხანაგი სტალინი თავის ნაშრომებში იძლევა შემოქმედებითი მარქსიზმის კლასიკურ ნიმუშებს, ამხანაგი სტალინის დიალექტიკის

(გაგრძელება იხ. მე-4 გვ.)

---

*) დასაწყისი იხ. „კომუნისტის“ № 229-ში.

უკანასკნელი ცნობები

გადადგა ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი ბენეში

პრაღა, 5 ოქტომბერი (საკდესი). რესპუბლიკის პრეზიდენტი ბენეში გადადგა. ბენეშმა რადიოთი წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც დაასახელა თავისი გადაწყვეტილების მოტივები.

საქმეს გაცნობილ წრეებში ფიქრობენ, რომ ბენეშის გადადგომა სხვა გარემოებათა გარდა გამოწვეულია ბერლინის ძლიერი ზეგავლენით. გერმანიის მოთხოვნები ამ საკითხში, როგორც აქ აღნიშნავენ, ეს მესამე დღეა მიიღეს საფრანგეთმა და ინგლისმა.

ჩეხოსლოვაკიის კონსტიტუციის მიხედვით პრეზიდენტის გადადგომის შემდეგ 15 დღის განმავლობაში მოწვეულ უნდა იქნას ნაციონალური კრება (პარლამენტის ორივე პალატა) ახალი პრეზიდენტის ასარჩევად. მაგრამ აქ ფიქრობენ, რომ ნაციონალური კრების მოწვევა გადადებული იქნება მანამდე, სანამ დამთავრდებოდეს პლებისციტი შერეულ მოსახლეობიან რაიონებში და მოხდებოდეს ახალი პარლამენტის არჩევნები. ამ დრომდე პრეზიდენტის მოვალეობას ალბათ მთავრობის მეთაური, გენერალი სიროვი შეასრულებს.

ჩეხოსლოვაკიის მწერლების მოწოდება

ჩეხოსლოვაკიის მწერალთა კავშირმა მოწოდებით მიმართა მთელი მსოფლიოს გონებრივი შრომის ყველა მუშაკს. მოწოდებას „მთელი კაცობრიობის სინდისისადმი" ხელი მოაწერა 29 მწერალმა, მათ შორის იოზეფ ჩაპეკმა, კარელ ჩაპეკმა და სხვებმა. დოკუმენტში ნათქვამია შემდეგი:

— ისტორიის წინაშე ჩვენი პასუხისმგებლობის სრული შეგნებით, ჩვენ ამ მოწოდებით მოგმართავთ დემოკრატიის უკანასკნელი პატარა კუნძულიდან, რომელიც ცენტრალურ ევროპაში დარჩა, და ვაცხადებთ, რომ ჩვენი ხალხი დამნაშავე არ არის და არც იქნება დამნაშავე იმ კატასტროფაში, რომელიც მსოფლიოს ემუქრება.

ჩვენ მთელი ძალღონით ვცდილობთ დავიცვათ მშვიდობიანობა, ჩვენი საერთო მშვიდობიანობა. მაგრამ ჩვენ მთელის ენერგიით ვიბრძოლებთ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისათვის.

ჩვენ გთხოვთ განუმარტოთ თქვენი ქვეყნების საზოგადოებრივ აზრს, რომ, თუ ჩვენ, პატარა ხალხი, ღრმად გამსჭვალული მშვიდობიანობისადმი მისწრაფებით, იძულებული ვიქნებით მივიღოთ სასტიკი ბრძოლა, ჩვენს მძიმე ბრძოლას ვაწარმოებთ არა მარტო ჩვენი თავისათვის, არამედ თქვენთვისაც, იმ მორალურ და ინტელექტუალურ ღირებულებათათვის, რომლებიც საერთოა— მთელი მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხისათვის. დე ნურავინ მიეცემა ილუზიებს: ჩვენს შემდეგ დადგება სხვა ხალხების, სხვა ქვეყნების ჯერი.

საბჭოთა მწერლების პასუხი ჩეხოსლოვაკიის მწერლებს

საბჭოთა მწერლები თავიანთ პასუხში ჩეხოსლოვაკიის მწერლებისადმი აცხადებენ:

—იმ დღეებში, როდესაც საშინელი გამცემლობა მოხდა და ფაშისტ ბარბაროსთა ჯარები ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობის ხელის შეწყობით ჰფლეთენ თქვენი მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული ქვეყნის ცოცხალ სხეულს, ჩვენ, საბჭოთა მწერლები, გიცხადებთ თქვენ ჩვენს უღრმეს ძმურ სოლიდარობასა და ჩვენს სიყვარულს.

ამ მრისხანე ჟამს იცოდეთ, რომ ჩვენ თქვენთანა ვართ, თქვენს მამაც ქვეყანასთან, რომელიც მძიმე მსხვერპლს სწირავს.

დეე იცოდნენ ფაშისტმა ბარბაროსებმა, რომ ვერავითარი გასაჭირი და მსხვერპლი ვერ გასტეხს ჩეხოსლოვაკიის ხალხის თავისუფალ სულს. თქვენ მარტონი არ იქნებით. ჩვენ არ დაგტოვებთ, ჩვენ დახმარებას გაგიწევთ თქვენ.

პასუხს ხელი მოაწერა საბჭოთა კავშირის 74 მწერალმა, რომელთა შორისაც არიან ა. ტოლსტოი, ფადეევი, ნოვიკოვ-პრიბოი, გლადკოვი და სხვ.

საკდესის მიერ გამოქვეყნებული უარყოფა უცხოეთის გაზეთებში

ლონდონი, 5 ოქტომბერი (საკდესი). „ივნინგ სტანდარდმა" გამოაქვეყნა საკდესის ცნობა, რომელიც უარჰყოფს „პრაგერ პრესეს" პარიზელი კორესპონდენტის მტკიცებას, თითქოს „საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობები რეგულარულად აწვდიდნენ ინფორმაციას სსრ კავშირის მთავრობას ჩეხოსლოვაკიის საკითხზე".

○

რიგა, 5 ოქტომბერი (საკდესი). გაზეთი „იაუნაკას ზინიასი", ემყარება რა საკდესის ცნობას, აქვეყნებს იმ ყალბი ცნობის უარყოფას, რომელიც გამოქვეყნებული იყო უცხოეთის პრესაში მიუნხენის გადაწყვეტილებებთან სსრ კავშირის დამოკიდებულების შესახებ.

გაზეთმა „ბრივა ზემე" მოათავსა ცნობა და აღნიშნა სათაურში, რომ „საბჭოთა კავშირს არაფერი აქვს საერთო მიუნხენის კონფერენციასთან".

კაუნასი, 5 ოქტომბერი (საკდესი). „ლეტუვოს აიდასმა" მოათავსა საკდესის ცნობა, რომელიც უარჰყოფს იუნაიტედ პრესის სააგენტოს პარიზელი კორესპონდენტის მოჭორილ ამბავს, თითქოს სსრ კავშირის მთავრობას მიენდოს დალადიესათვის სსრ კავშირის სახელით გამოსულიყო ოთხი სახელმწიფოს კონფერენციაზე მიუნხენში.

○

სტოკჰოლმი, 5 ოქტომბერი (საკდესი). შვეციის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს საკდესისაგან მიღებულ უარყოფას „პრაგერ პრესეს" მიერ გამოქვეყნებული მოჭორილი ცნობის გამო. შვეციის საღამოს გაზეთი „აფტონბლადეტი" ჰბეჭდავს საკდესის მიერ გამოქვეყნებულ უარყოფას შემდეგი სათაურით: „საბჭოთა კავშირს არავითარი დამოკიდებულება არა აქვს მიუნხენის გადაწყვეტილებასთან".

დიალექტიკური მატერიალიზმი— მარქსისტულ-ლენინური პარტიის მსოფლმხედველობა

(დასასრული)

უმნიშვნელოვანესი ნიშანი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი გვაძლევს თვითეულ ორიგინალურ ისტორიულ ამოცანაზე დამოუკიდებელი მუშაობის ნიმუშს, გვაძლევს უნარს უდიდესი თანმიმდევრობით ცხადვყოთ კლასობრივ ძალთა თანაფარდობის თავისებურებანი, დავსახოთ მუშათა კლასის ამოცანები მის ბრძოლაში კომუნიზმისათვის. ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის თავისი გეგმით, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გეგმით მან შემდგომ განავითარა პროლეტარული რევოლუციის ლენინური თეორია, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის თეორია, ლენინური კოოპერატიული გეგმა, ლენინური მოძღვრება მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შესახებ. საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის დასკვნა აჯამებს რა ბოლშევიკური პარტიის განვითარების შედეგებს, მოკლედ და მკაფიოდ აყალიბებს შემოქმედებითი მარქსიზმის დედაარსს:

„მარქსისტულ-ლენინური თეორია არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც დოგმატების კრებული, როგორც კატეხიზმო, როგორც სიმბოლო სარწმუნოებისა, ხოლო თვით მარქსისტები, — როგორც ასოკირკიტები და მედავითნეები. მარქსისტულ-ლენინური თეორია არის მეცნიერება საზოგადოების განვითარების შესახებ, მეცნიერება მუშათა მოძრაობის შესახებ, მეცნიერება პროლეტარული რევოლუციის შესახებ, მეცნიერება კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის შესახებ. იგი, როგორც მეცნიერება, არ დგას და არც შეიძლება იდგეს ერთ ადგილზე, — იგი ვითარდება და სრულყოფილი ხდება. გასაგებია, რომ თავის განვითარებაში იგი არ შეიძლება არ მდიდრდებოდეს ახალი გამოცდილებით, ახალი ცოდნით, ხოლო მისი ცალკეული დებულებები და დასკვნები არ შეიძლება ცვლილებას არ განიცდიდნენ დროის განმავლობაში, არ შეიძლება არ იცვლებოდნენ ახალი დასკვნებითა და დებულებებით, რომლებიც შეესაბამებიან ახალ ისტორიულ პირობებს".

ფილოსოფიის დარგის მუშაკებმა უნდა ისწავლონ და ხელახლა ისწავლონ. მარქსიზმის, ფილოსოფიის ჩვენს პროპაგანდაში დიალექტიკა გადმოცემული იყო ისტორიის განვითარებასთან დაუკავშირებლად, პარტიის პრაქტიკულ ამოცანებთან დაუკავშირებლად, მას ხანდახან ისე „აშორებდნენ", რომ მისი კანონები გამოიყურებოდნენ, როგორც გაყინული მკვდარი ფორმულები. ჩვენი პარტიის ისტორიას, რომელიც აღსავსეა დიალექტიკის გამოყენების მრავალი ნიმუშით, სრულიად არასაკმაოდ იყენებდნენ მარქსისტული ფილოსოფიის პროპაგანდასა და სწავლებაში.

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მეოთხე თავი გვაძლევს იმის ნიმუშს, თუ როგორ მკაფიოდ და წარმტაცად, როგორ პოპულარულად და ამასთან ღრმად მეცნიერულად უნდა ვაწარმოოთ დიალექტიკური მატერიალიზმის პროპაგანდა

ჩვენი ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს მუშათა კლასმა მიიღო ახალი ძლიერი იარაღი კაპიტალისტური ექსპლოატაციისა და ჩაგვრის საბოლოო მოსპობისათვის, მთელ მსოფლიოში კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის ცეცხლოვანი, მებრძოლი, საუცხოო ფურცლები, რომლებზედაც ოსტატურად აღბეჭდილია ჩვენი ბოლშევიკური პარტიის შეუდარებელი საბრძოლო გამოცდილება, შეასრულებენ უდიდეს დამრაზმავ და მაორგანიზებელ როლს კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის ჩვენს ქვეყანაში და მთელ მსოფლიოში ლენინ-სტალინის ძლევამოსილი დროშის ქვეშ.

ჩემბერლენის პოლიტიკის კრიტიკა

ჩემბერლენის სიტყვა

ლონდონი, 4 ოქტომბერი (საკდესი). დაფ კუპერის სიტყვის შემდეგ თემთა პალატაში გამოვიდა პრემიერი ჩემბერლენი, რომელიც შეეცადა გაემართლებინა ფაშისტ აგრესორებთან შეთანხმების პოლიტიკა. კერძოდ, იგი შეეცადა დაემტკიცებინა, რომ ჰიტლერის მემორანდუმსა და მიუნხენის გადაწყვეტილებებს შორის არსებითი განსხვავება. იგი ყოველნაირად ხოტბას ასხამდა მიუნხენის თათბირის გადაწყვეტილებებს და მის მონაწილეებს, განსაკუთრებით მუსოლინის. ჩემბერლენი მაინც იძულებული გახდა აღეარებინა, რომ მიუნხენის გადაწყვეტილებანი ჯერ კიდევ სრულიადაც არ ნიშნავს ხანგრძლივი მშვიდობიანობის უზრუნველყოფას. ამასთან დაკავშირებით მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მთავრობამ არ უნდა შეასუსტოს შეიარაღების ტემპები.

როცა ჩემბერლენი თემთა პალატაში კრიტიკისა და ინგლისის საზოგადოებრივი განწყობილების ზეგავლენით იძულებული იყო განეცხადებინა, რომ ჩეხოსლოვაკიის ხალხმა, რომელიც ამჟამად ეროვნულ უბედურებას განიცდის, შესანიშნავი თავდაჭერა, ღირსება და დისციპლინა გამოიჩინა, ლეიბორისტთა სკამებიდან ხმამაღლა გაისმა შეძახილები: „სირცხვილი!". შემდეგ ჩემბერლენმა განაცხადა, რომ ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ მიჰმართა თხოვნით მიეცეს მას სესხად 30 მილიონი გირვანქა სტერლინგი ინგლისის მთავრობის გარანტიით. ჩემბერლენმა აღნიშნა, რომ ინგლისის მთავრობა დასთანხმდა მიეცეს ჩეხოსლოვაკიას სესხი 10 მილიონი გირვანქა სტერლინგის რაოდენობით.

კამათი თემთა პალატაში

ლონდონი, 4 ოქტომბერი (საკდესი). ლეიბორისტთა საპარლამენტო ფრაქციის ლიდერმა ეტლიმ, რომელიც თემთა პალატაში კამათის დროს გამოვიდა, აღნიშნა, რომ მიუნხენის თათბირის დროს უხეშმა ძალამ გაიმარჯვა გონიერებასა და ჰუმანურობაზე. უკანასკნელი დღეების ამბები მოასწავებენ ინგლისისა და საფრანგეთის უდიდეს დიპლომატიურ დამარცხებას, როგორიც კი მათ ოდესმე განუცდიათ, და ჰიტლერის გამარჯვებას. საფრთხის ჟამს ჩემბერლენმა მიატოვა ჩეხოსლოვაკები, რომლებიც მშვიდობიანობას იცავდნენ ევროპაში.

გერმანიის აგრესიის მიზეზი, განაგრძობს ეტლი, ის კი არ არის, რომ ჩეხოსლოვაკიაში არსებობენ ნაციონალური უმცირესობანი და რომ სუდეტელ გერმანელთა მდგომარეობა ვითომდა აუტანელი შეიქნა. ამ აგრესიის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ, ჰიტლერის აზრით, დადგა დრო, როდესაც მას შეუძლია გადასდგას ახალი ნაბიჯი იმ გეგმების განსახორციელებლად, რომლებიც ევროპაში ბატონობის მოპოვებას ჰგულისხმობენ.

ეტლიმ განაცხადა, რომ მთელს მსოფლიოში მდგომარეობა გაუარესდა. მას შემდეგ, რაც მარცხით დამთავრდა სამშვიდობო ხელშეკრულებებისაგან გამომდინარე პოლიტიკური და ეკონომიური საკითხების მშვიდობიანი გზით გადაჭრის ცდა, კრახი განიცადა აგრესიის შეზღუდვის ცდამაც. სსრ კავშირს მუდამ ნათელი პოზიცია ეჭირა, მაგრამ მასთან არ გაუწევიათ კონსულტაცია ჩეხოსლოვაკიის საკითხზე.

იდენის გადადგომის მომენტიდან —განაგრძობს ეტლი — ჩემბერლენი თვითონ იყო საგარეო საქმეთა მინისტრი. ამაში მდგომარეობდა საშიშროება, ვინაიდან იქმნებოდა ისეთი წარმოდგენა, რომ, გერმანიისა და იტალიის მსგავსად, ინგლისი ერთი კაცის პირით ლაპარაკობს.

შემდეგ ეტლიმ განაცხადა, რომ დიქტატორებმა მოატყუეს ჩემბერლენი. ყველაფერი ის, რაც მათ შეეძლოთ შეეთავაზებინათ კავშირებისა და კოლექტიური უშიშროების ნაცვლად, ეს არის მუსოლინის დაპირება და ჰიტლერის დაპირება. რას იტყვის პრემიერი, თუ ამჟამად ჰიტლერი კოლონიებს მოითხოვს? რა მდგომარეობა შეიქმნება მაშინ? ოთხთა პაქტი გარკვევით შეიცავს საშიშროებას, ვინაიდან ამ პაქტში ინგლისი უმცროსი პარტნიორი იქნება. ეს პაქტი ინგლისელი ხალხის თავისუფლების წინააღმდეგ იქნება მიმართული.

ლიბერალების ლიდერმა სინკლერმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ აგრესორებისადმი მუდმივი დათმობის პოლიტიკა არასოდეს არ შეიძლება მტკიცე მშვიდობიანობის საფუძველი იყოს.

სინკლერის შემდეგ გამოვიდა იდენი, რომელსაც ტაშით მიეგებნენ. ჩვენ ყველა, განაცხადა იდენმა, უნდა გავერკვეთ იმაში, თუ რანაირად მოხვდა ევროპა უფსკრულის პირს და რა უნდა მოვიმოქმედოთ იმისათვის, რათა ასეთი მდგომარეობა არ განმეორდეს. მან აღნიშნა, რომ გროვდება მორალური ძალები ომის საწინააღმდეგოდ და ამასთან დაკავშირებით მოიხსენია რუზველტის მიმართვები. იდენმა ქებით მოიხსენია ჩეხოსლოვაკიის მთავრობის დისციპლინიანობა, ბენეშის სიმშვიდე, ღირსება და სიმამაცე. დიდი უსამართლობაა ჩადენილი მეგობრული მცირე ქვეყნის მიმართ. მიუნხენის გადაწყვეტილებანი არ წარმოადგენენ თვითგამორკვევას. „საეჭვოა, რომ რომელიმე ჩვენთაგანი, დამოუკიდებლად მისი რწმენისა, ამ გადაწყვეტილებათა გაცნობის დროს დამცირების გრძნობას არ განიცდიდეს". შემდეგ იდენმა გამოსთქვა იმედი, რომ ინგლისის მთავრობის საგარეო პოლიტიკა არ იქნება ოთხთა პაქტზე დამყარებული. „არ არსებობს საკმაო საფუძვლები იმისათვის, რომ ვეცადოთ მოვაწყოთ ევროპა ისეთ ბაზაზე, რომელიც გამორიცხავს რომელიმე დიდ სახელმწიფოს. ევროპის საქმეთა არავითარი საბჭო არ იქნება სრულყოფილი და სრული, თუ მასში მონაწილეობას არ მიიღებს ყველა დიდი და პატარა სახელმწიფო". იდენმა განაცხადა: „დემოკრატიულმა ქვეყნებმა უნდა ცხადჰყონ, რომ თავის პოლიტიკაში ისინი ისეთსავე გაბედულებას გამოიჩენენ, როგორსაც იჩენენ ის ქვეყნები, სადაც მართვა - გამგეობა სხვანაირია. აუცილებლად იბადება შემდეგი სამი დასკვნა: 1. ჩვენი დამატებითი შეიარაღების ტემპები ყოველნაირად უნდა დაჩქარდეს; 2. დამატებითი შეიარაღების მოცულობა და ხასიათი, უკანასკნელი რამდენიმე კვირის ამბების თვალსაზრისით, გადასინჯვას საჭიროებს; 3. სამოქალაქო მოსახლეობას დახმარება უნდა გაეწიოს მისი იმგვარად მოწყობის საქმეში, რომ იგი მზად იყოს ყოველგვარი გამოწვევისათვის მომავალში და ისეთ პირობებშიც, რომლებიც ამჟამად არსებული პირობებისაგან განსხვავდებიან".

ჩეხოსლოვაკიის მთავრობის ახალი შემადგენლობა

პრაღა, 5 ოქტომბერი (საკდესი). შესდგა მინისტრთა ახალი კაბინეტი ასეთი შემადგენლობით: პრემიერი და სამხედრო მინისტრი გენერალი სიროვი; გზათა და ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი გენერალი გაიდაში (სლოვაკელი); შინაგან საქმეთა მინისტრი ჩერნი (აგრარული პარტიის ყოფ. წევრი); საგარეო საქმეთა მინისტრი ხვალკოვსკი (დესპანი რომში, აგრარული პარტიის წევრი); საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრი გენერალი გუსარეკი (უპარტიო); მიწათმოქმედების მინისტრი ფაიერაბენდი (აგრარული პარტიის წევრი, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხელმძღვანელი); ფინანსთა მინისტრი კალფუსი (უპარტიო); იუსტიციის მინისტრი ფაინორი (უპარტიო, სლოვაკელი); განათლების მინისტრი ბუკოვსკი (ნაციონალური დემოკრატი, სლოვაკელი); ვაჭრობის მინისტრი კარვაში (სლოვაკელი, სლოვაკელ ავტონომისტთა პარტიასთან ახლო მდგომი); სოციალური უზრუნველყოფისა და ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ზენკლი (ჩეხი სოციალისტი, პრაღის ქალაქის თავი); სლოვაკიის საქმეთა მინისტრი სოკოლი (სლოვაკელ ავტონომისტთა პარტიის მდივანი).

სლოვაკიის საქმეთა სამინისტრო ახლად არის შექმნილი სლოვაკელ ავტონომისტთა პარტიასთან კომპრომისული შეთანხმების შედეგად.

იწყება პოლონეთ-ჩეხოსლოვაკიის კომისიის სხდომები

პრაღა, 4 ოქტომბერი (საკდესი). ტეშინის ოლქის ნაწილის პოლონეთთან შეერთების გამო ახალი საზღვრების დამწესებელი პოლონეთ-ჩეხოსლოვაკიის კომისია თავის მუშაობას იწყებს ხვალ პრაღაში პოლონეთის ჩეხოსლოვაკელი დესპანის პაპეს თავმჯდომარეობით. დღეს პრაღაში მოელიან ჩეხოსლოვაკიის ვარშაველ დესპანს დოქტორ სლავიკს, რომელიც მონაწილეობას მიიღებს კომისიის მუშაობაში.

გერმანიის ჯარმა დაიკავა პუნქტი ტერიტორიაზე, რომელიც არ უნდა ყოფილიყო ოკუპირებული

ლონდონი, 4 ოქტომბერი (საკდესი). ბრიტიშ იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით, გერმანიის ჯარმა დაიკავა სოფელი კრუმაუ (სამხრეთ ბოჰემია), რომელიც მდებარეობს პირველი ზონის ფარგლებს იქით, ე. ი. ტერიტორიაზე, რომელიც არ უნდა ყოფილიყო ოკუპირებული გერმანიის მიერ. გერმანიის ჯარისკაცები ამტკიცებენ, თითქოს ჩეხოსლოვაკიის ჯარმა ამ სოფელს ტანკის საწინააღმდეგო ქვემეხები დაუშინა. შემდეგში საერთაშორისო კომისიამ დაადასტურა გერმანიის ჯარის ეს მოქმედება.

პოლონეთი მხარს უჭერს უნგრეთის პრეტენზიებს

ვარშავა, 4 ოქტომბერი (საკდესი). პოლონეთის მთავრობის მთელი რეაქციული პრესა განაგრძობს ფართო კამპანიას ჩეხოსლოვაკიის შემდგომი დანაწილების სასარგებლოდ და მოითხოვს უნგრეთის ანექსიონისტური პრეტენზიების დაუყოვნებლივ დაკმაყოფილებას. საგარეო საქმეთა სამინისტროს ორგანო „ექსპრეს პორანი" აცხადებს, რომ ჩეხოსლოვაკიისაგან „უნგრეთის მიწების" ჩამოცილება არ შეიძლება გადადებულ იქნას მარტო იმის გამო, რომ უნგრეთს ძალა არ შესწევს თვითონ გაუსწორდეს ჩეხოსლოვაკიას. „მანამდე,—განაგრძობს გაზეთი,—სანამ დაკმაყოფილებული არ იქნება უნგრეთის მოთხოვნები, პოლონეთისთვის ძნელი იქნება შესცვალოს თავისი კრიტიკული დამოკიდებულება ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოს მიმართ".

ბერანის განცხადება

პრაღა, 3 ოქტომბერი (საკდესი). აგრარული პარტიის თავმჯდომარემ ბერანმა, რომელიც, როგორც ცნობილია, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის არსებობის 20 წლის განმავლობაში საგარეო და საშინაო პოლიტიკის ყველა საკითხში პროგერმანულ პოზიციას იცავდა, 30 სექტემბერს ახალგაზრდობის კავშირის დელეგაციას შემდეგი განუცხადა: „დასავლეთისა და სხვა მოკავშირეებმა არა მარტო გაგვცეს, არამედ შეიარაღებული ინტერვენციითაც გვემუქრებოდნენ. ერთადერთი მოკავშირე, რომელიც ჩეხოსლოვაკიის ერთგული დარჩა, ეს იყო სსრ კავშირი. მან ჩვენ ნამდვილი დახმარების გარანტია მოგვცა ყოველგვარი შესაძლებლობის ფარგლებში".

სლოვაკელ ავტონომისტთა ულტიმატიური მოთხოვნა

პრაღა, 4 ოქტომბერი (საკდესი). დღეს დილით სლოვაკელ ავტონომისტთა (გლინკის პარტია) კლერიკალურმა პარტიამ წარუდგინა მთავრობას ულტიმატიური მოთხოვნა სლოვაკიის ავტონომიის დაუყოვნებლივ გამოცხადების შესახებ. იტყობინებიან, რომ ამ ულტიმატუმის კომენტარიებში სლოვაკელ ავტონომისტთა პარტიის წარმომადგენლები იმუქრებოდნენ, რომ თუ ულტიმატუმი დაკმაყოფილებული არ იქნება, ისინი შეეცდებიან სლოვაკიის პოლონეთთან შეერთებას. სლოვაკელმა სეპარატისტებმა მთავრობას 24 საათის ვადა მისცეს.

მოლაპარაკება მთელ დღეს სწარმოებდა. დადის ხმები, რომ საღამოს სლოვაკელი ავტონომისტები დასთანხმდნენ იმაზე, რომ შეიქმნას სლოვაკიის პარლამენტი, ადგილობრივი მთავრობა და რომ ჩეხოსლოვაკიის საერთო მთავრობის შემადგენლობაში შეყვანილ იქნას ერთი მინისტრი — სლოვაკელი, რომელსაც ექნება ვეტოს (აკრძალვა) უფლება ყველა იმ საკითხში, რომლებიც „სლოვაკიის ინტერესებს შეეხებიან"

ჰენლაინელთა პროვოკაცია

პრაღა, 4 ოქტომბერი (საკდესი). გუშინ, ღამით ქალ. შპიჩაკში (სამხრეთ-დასავლეთი ჩეხია) ადგილობრივმა ჰენლაინელებმა შეიარაღებული თავდასხმა მოახდინეს ჟანდარმთა საგუშაგოზე, განაიარაღეს 6 ჟანდარმი, გადასჭრეს სატელეფონო და სატელეგრაფო მავთულები და დაანგრიეს სამხედრო სამინისტროს მთელი რიგი საწყობები.

ჰენლაინელები თავის ამოცანად ისახავდნენ ხელი შეეშალათ სამხედრო საწყობებისა და მარაგის ჩეხოსლოვაკიის შიდა რაიონებში ევაკუაციისათვის (ეს რაიონი უახლოეს დღეებში გადაეცემა გერმანიას). ადგილზე მოსულმა ჟანდარმერიის რაზმმა წესრიგი აღადგინა რაიონში.

ქალაქ გრობში (ჩრდილოეთ-დასავლეთი ჩეხია) ჩეხოსლოვაკიის ჟანდარმერიის მიერ დაპატიმრებულმა ჰენლაინელმა რევოლვერით მძიმედ დასჭრა ერთი ჟანდარმი. გაქცევის ცდის დროს ჰენლაინელი მოკლულ იქნა.

უცხოეთის ქრონიკა

● პოლონეთის ფინანსთა მინისტრმა აკრძალა ჩეხოსლოვაკიის ვალუტის შეტანა პოლონეთში. ამის დამრღვევი დაჯარიმდება 200 ათასამდე ზლოტით, ან დაპატიმრებული იქნება ხუთი წლით.

● 2 ოქტომბერს 20-მდე ჰენლაინელი თავს დაესხა მუშათა უბანს—ქალდერუეს და გააფთრებული სროლა აუტეხა მას. ჩეხოსლოვაკიის ჯარმა თავდამსხმელებს უკან დაახევინა. სროლამ დაახლოებით 3 საათს გასტანა.

● პრაღაში ჩავიდა 30-მდე ინგლისელი დამკვირვებელი ოფიცერი, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო კომისიის მუშაობაში.

სრულიად-საქართველოს პირველი სამთო ველოტური

ზუგდიდი, 5 ოქტომბერი (ჩვენი სპეც. კორ.). ველოტურის კოლონა ქუთაისიდან დილის 11 საათზე დაიძრა. ქუთაისიდან ზუგდიდამდე ყველაზე ადვილი ეტაპი იყო. ველოტურის მონაწილენი 4 საათში უკვე ზუგდიდში იყვნენ. აბაშაში და ხობში ადგილობრივი მშრომელები გამოვიდნენ შესახვედრად. განსაკუთრებით კარგი შეხვედრა გაუმართეს ზუგდიდში.

სამარულო მანქანების ჯგუფიდან ზუგდიდში პირველი მივიდა თბილისელი აშრაფიანი, რომელმაც მანძილი 3 საათსა და 52 წუთში დაჰფარა, მას მიჰყვა გოჩოლაშვილი (4 საათი და 1 წუთი). [illegible] გვიჩვენა საუკეთესო დრო (3 საათი და 42 წუთი). სამგზავრო ველოსიპედების ჯგუფიდან პირველი მივიდა ტურის ლიდერი ხინგოიანი, რომელმაც მანძილი 4 საათსა და 34 წუთში გაიარა. ხვალ სოხუმისაკენ გავდივართ.

ტურის მონაწილეთაგან შეჯიბრებას 33 ველოსიპედისტი განაგრძობს. შვიდი კაცი: ხაბურზანია, სააკაძე, პეტროვი, ალლაძე, თევზაძე, ბარამია, მაილოვი შეჯიბრებიდან გამოვიდნენ.

დ. ლომთაძე

თბილისის ოპერის თეატრის არტისტები პეტროზავოდსკში

პეტროზავოდსკი (კარელიის ასსრ), 5 ოქტომბერი (ტელეგრ. ჩვენი სპეც. კორ.). 4 ოქტომბერს კარელიის რესპუბლიკის ცენტრში, პეტროზავოდსკში, მთავრობის მოწვევით ჩამოვიდა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის შემოქმედებითი ბრიგადა 25 კაცის შემადგენლობით. სადგურზე შესდგა საზეიმო შეხვედრა. მსახიობებს მხურვალედ მიესალმნენ ქალაქის საბჭოს და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახელით.

საღამოს ხალხური შემოქმედების სახლში შესდგა ბრიგადის პირველი გამოსვლა. დადგმულ იქნა „აბესალომ და ეთერის" პირველი მოქმედება კოსტუმებით და გრიმებით. მეორე განყოფილებაში შესდგა ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებების კონცერტი. მესამე განყოფილებაში ხალხური ცეკვის ანსამბლმა ორდენოსან სუხიშვილის ხელმძღვანელობით შეასრულა ქართული ხალხური ცეკვები. კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა.

რ. ხალილოვი

„დიდი მოურავის" საჯარო განხილვა

3 ოქტომბერს მწერალთა სასახლეში შესდგა **ს. ქვარიანის** ისტორიული რომანის „დიდი მოურავის" საჯარო განხილვა. დისპუტს დიდძალი ხალხი დაესწრო, უმთავრესად რომანის მკითხველი ახალგაზრდობა.

მოკლე შესავალი სიტყვით კრება გახსნა მწერალთა კავშირის პროზაიკოსთა სექციის ხელმძღვანელმა ამხ. **ლეო ქიაჩელმა**, რომელმაც აღნიშნა ისტორიული რომანის მნიშვნელობა და თანამედროვე ქართული მწერლობის დაინტერესება გიორგი სააკაძის პიროვნებით.

„დიდი მოურავის" გარშემო მოხსენებით გამოვიდა ამხ. **დ. ბენაშვილი**.

თავისი მოხსენების პირველი ნაწილი მომხსენებელმა მიუძღვნა გ. სააკაძის პიროვნების შეფასებას და ამასთან დაკავშირებით გააკეთა მოკლე მიმოხილვა იმ ლიტერატურული ნაწარმოებებისა, რომლებიც გიორგი სააკაძეს შეეხება.

მოხსენების მეორე ნაწილში მომხსენებელი შეჩერდა ს. ქვარიანის „დიდი მოურავის" მხატვრულ განხილვაზე. მან აღნიშნა ამ რომანის დადებითი მხარეები, მაგრამ უმთავრესად ყურადღება ნაკლოვანებებზე გაამახვილა.

მომხსენებელმა უსაყვედურა აგრეთვე ავტორს მხატვრული მთლიანობის უქონლობა.

მოხსენების შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ **ი. ტატიშვილი, ი. მჭედლიშვილი, გ. ხეჩუაშვილი**. ილაპარაკა „დიდი მოურავის" ავტორმა— ს. ქვარიანმაც. იგი არ დაეთანხმა მომხსენებელს რომანის ზოგიერთი საკითხის შეფასებაში.

ავტორის გამოსვლას დამსწრე საზოგადოება გულთბილად შეხვდა.

გაიხსნა ცირკის სეზონი

4 ოქტომბერს გაიხსნა თბილისის სახელმწიფო ცირკის 1938-39 წლის სეზონი. სპექტაკლში მონაწილეობას იღებდნენ საცირკო ხელოვნების საუკეთესო ოსტატები.

პროგრამა გახსნეს ოსტროვსკებმა, რომელთაც უჩვენეს დამსწრეთ აკრობატიკის კარგი ნომრები. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებლებზე, ცირკის გუმბათქვეშ გუსევების გაფრენამ და ღერძზე მოვარჯიშე კოპიტინების ჯგუფმა, რომლებმაც ნომრების საუკეთესოდ შესრულებისათვის მქუხარე ოვაციები დაიმსახურეს.

ოსტატურად შეასრულა 2 ორლიანსმა გორგოლაჭებზე რბენა. კარგად იყო აგრეთვე შესრულებული სატანვარჯიშო აქტი 3 სავის მიერ. მძლეოსნობის ნომრებით გამოვიდნენ მსახიობები გრიმები და კაპიტანოვები. დიდი მხიარულება შეჰქონდათ პროგრამაში საბუფონადო კლოუნებს ვოინოვსა და ვლასოვს და მსახიობ როჟანსკის.

6 ოქტომბერს, დღის 2 საათზე, ნაჩვენები იქნება დიდი საცირკო პროგრამა ბავშვთათვის. საღამოს გამოსვლებში მონაწილეობას მიიღებენ სეზონის საუკეთესო ძალები.

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პარტგანათლების სახლში

7 ოქტომბერს:

ალკკ კაბინეტი—1) ლექცია თემაზე: საკ. ალკკ ც. კ-ის VI პლენუმის შედეგები. რუსულ ენაზე. ლექტორი ამხ. ბაგდასაროვი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

2) ლექცია საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის პირველი თავის მიხედვით. „ბრძოლა რუსეთში სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შექმნისათვის" (1883—1901 წლები). ქართულ ენაზე. ლექტორი ამხ. მ. მაჩაიძე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

საქ. კ. პ. (ბ) გორის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1523944, გაცემული ამავე რაიკომის მიერ 1936 წლის 4 აგვისტოს პავლე იოსების-ძე კოკოშვილის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

რუსთაველის სახელობის
ლენინის ორდენოსანი
სახელმწიფო თეატრი
1938-39 წ. სეზონი

6/X	წარმოდგენა 18 სულელი
8/X	წარმოდგენა 19 უდანაშაულოდ დამნაშავენი
9/X	წარმოდგენა 20 ნაპერწკლიდან

დასაწყისი 8 საათზე
სალარო ღიაა დილის 12 საათიდან
საღამოს 9 საათამდე.

მარჯანიშვილის სახელობის
სახელმწიფო თეატრი

6/X	ფიგაროს ქორწინება
8/X	ნაპერწკლიდან
9/X	მური

დასაწყისი 8 საათზე
სალარო ღიაა დილის 12 საათიდან
საღამოს 9 საათამდე.

ქ. თბილისის კიროვის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი **დ. ა. სვანიძე** ამით აცხადებს, რომ ა. წ. 8 ოქტომბერს, დღის 12 საათზე

საჯარო ვაჭრობით გაჰყიდის

ქ. თბილისში, ჯვრის ჩიხი № 1, ალექსანდრე გელაშვილის კუთვნილ სახლს. სახლს აქვს 5 ოთახი, სარდაფი, შერეული მშენებლობა.

ქონება შეფასებულია 8.000 მანეთად და გაიყიდება „ინჟმშენის" პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად, თანახმად საქ. უმაღლესი სასამართლოს მიერ ა. წ. 4 იანვრის თარიღით და 133 №-ით გაცემული აღმასრულებელ ფურცლისა. 19839

თანახმად კოოპინკავშირის პრეზიდიუმის მითითებისა და არტ. „უტილგადამუშავებისა" და არტ. „ინნაწარმის" წევრთა საერთო კრების დადგენილებისა (ოქმი № 1 ა. წ. 29/IX) ზემოაღნიშნული არტელები **გაერთიანებული არიან სახელწოდებით**

არტ. „უტილგადამუშავება"

19759.

გამომცემლობა „ფედერაციას" მიერ ლიტერატურის გამავრცელებელ აგენტ ნოძ. შალვა ლონდაძეზე გაცემული მინდობილობა
გაუქმებულია.
ამასთან დაკავშირებით პრეტენზიები მიიღება 25 ოქტომბრამდე.
19644

ექიმი
მძინარიშვილი
ვენერიული, სიფილისი და კანის სნეულებანი, სქესობრივი, სისუსტე ელექტრონით (კურნალობა), ქალთა და ბავშვთა გონორეა.
ავადმყოფთა მიღება დილის 8—10 საათამდე, საღ. 7—9 ს. ქალების და ბავშვთა საღ. 6—7 საათამდე, გრიბოედოვის ქ. № 20 ბინა 38. მე 4 შესავალი, მე-2 სართული
10—2 19577

მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34; ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3—03—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა — 3—06—88, განყოფილებებისა პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, მშრომელთა წერილების — 3—73—24, პ.-მგ. მორიგის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", თბილისი, კამოს ქ., № 68.

მთავლიტის რწმუნებული დ—1402